

ლიტერატურული მესხეთი

№6 (258)
ივნისი
2020 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის ოცდაათი წელი

“LITERATURULI MESKHETI”

აქაი წერეთელი - 180

გმირის ფუნქცია აკაკის პოემებში

აკაკი წერეთელი თავისი შინაგანი, სულიერი და ზნეობრივი თვისებებით, პირდაპირობითა და მოქალაქეობრივი გამბედაობით თვითონ იყო გმირი, რომელმაც თავისი ნიჭიც და მთელი სიცოცხლეც სამშობლოს კეთილდღეობას შესწირა. ახალგაზრდობაში მან შემთხვევით მოპკრა ყური ევროპის ორი გამოჩენილი პატრიოტის საუბარს: ფრანგი ტურუსი და პოლანდიელი როდზიევიჩი იგონებდნენ საფრანგეთის რევოლუციის და პოლონეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომების ეპიზოდებს. ამ ეპიზოდებმა ჭაბუკ პოეტზე არაჩვეულებრივი შთაბეჭდილება მოახდინა. „იმათმა საუბარმა, – წერდა აკაკი, – ისე გამიტაცა, რომ რაღაც უჩვეულო სასუფეველი ვიგრძენი, სმენად გადავიქციე. ბოლოს თქვა ამოოხვრით როდზიევიჩმა: ახლა რაღაც დროს, ვწახვარ, რომ სამხედრო სამსახურში არ შევედი, რომ სარდალი გავმხდარიყავი და მარჯვე დროს ქვეყნისათვის კონრადივით სამსახური გამეწია“. ეს რომ ჩამეხვეთა ყურში, ჩემი თავი ველარ ვიცანი! იმ დამეს აღარ დამეძინა, ვამბობდი: „რა მინდა უნივერსიტეტში? რა კარგი იქნებოდა სამხედრო სამსახური! ოდესმე სარდალი გავხდებოდი“. ასე ოცნებობდა სამშობლოს სიყვარულით გამსჭვალული პოეტი, მაგრამ ბედმა მას სხვაგვარი სარდალობა – ერის სულიერი წინამძღოლობა არგუნა და უნდა ითქვას, რომ, ალბათ, ვერც ერთი სარდალი ვერ გაუწევდა თავის ერს ისეთ დიდი სამსახურს, როგორც აკაკიმ სამშობლოს გაუწია.

აკაკი წერეთლის პოეზია განსაკუთრებული ძალით ფლავდა XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან, როცა ქართველ ხალხს თავისი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული ფაზა დაუდგა. ამ მძიმე დროს აკაკის გამამხნეველი ხმა მაღალმოსავით ედებოდა ყოველი ქართველის სულსა და გულს. ცნობილია, რომ რუსეთში XIX ს-ის 80-იანი წლების დამდეგს გადამწყვეტი იერიში მიიტანეს მეფის მთავრობაზე და ტერორის საშუალებით მოინდომეს თვითმპყრობელობის დამხობა. გაბედულად დაესხნენ თავს და მოკლე დროში მოსაქეს ცარიზმის ყველაზე საძულველი სატრაპები, ხოლო 1881 წლის პირველ მარტს მეფე ალექსანდრე II გამოასალმეს წუთისოვლს. ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელ რუსეთს და დაჩაგრულ ადამიანებს ცხოვრების უკეთესობისკენ იძევი ჩაუსახა. ამ ამბავმა მოაღწია საქართველომდეც და ხალხის საყვარელ პოეტს უაღრესად გაბედული სიტყვები ათქმევინა:

„დღეს მერცხალი შემოფრინდა,
ჭიკჭიკითა გადმომძახა:
„გაზაფხული, გაზაფხული!“
გულს იმედი ჩამესახა...
სუნი მეცა გაზაფხულის,
უცნაური ვიგრძენ ძალი...
ვთქვი, თუ: „გულსა რაღად ვიტყვ?
ახლოს არის მომავალი!“

მაგრამ აკაკის ეს სიხარული, სამწუხაროდ, ნაადრევი აღმოჩნდა: მოკლე მუცლის ნაცვლად ხალხს მოევიწია უხეშობით სახელგანთქმული ალექსანდრე III, რომელმაც მთელ რუსეთში სასტიკი რეპრესია გაამეფა. განსაკუთრებით ძნელ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ რუსეთის მიერ დაჩაგრული ქვეყნები, მათ შორის – საქართველო. ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი ისტორიაში ძნელია დავასახელოთ იმაზე უფრო მძიმე დრო, ვიდრე ალექსანდრე მესამის ხანა იყო. მისი ჩიონიკები აბუჩად იგდებდნენ ქართულ კულტურას და ისტორიას, ეროვნულ ტრადიციებს. აიკრძალა ქართული ენა, აიკრძალა თვით ჩვენი სამშობლოს სახელის ხსენებაც კი. „საქართველოს“ ნაცვლად გაზეფეს უნდა ეწერათ „თბილისის გუბერნია“ და „ქუთაისის გუბერნია“. ერთი სიტყვით, ქართველი ერის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი დადგა. ასეთ ვითარებაში ერის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად თავგანწირული ბრძოლა გაჩაღეს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სახელოვანმა მოღვაწეებმა, რომლებსაც სათავეში ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი ჩაუდგნენ. რუსეთის უხეშ ძალადობას მათ დაუპირისპირეს



სამშობლოს სიყვარული, რომელიც ყოველგვარ სისასტიკეზე ძლიერი აღმოჩნდა.

1881 წლის 27 აპრილს ილია ჭავჭავაძემ დაწერა „შინაური მიმოხილვა“, რომელშიც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იმდროინდელი ეტაპის მთელი პროგრამა ჩამოყალიბებული. დიდი ილია მოუწოდებდა ქართველ ახალგაზრდობას – მიეხატა ჩეხების მაგალითითვის და თავისი ცხოვრების უპირველეს საგნად ეროვნული თავისუფლების მოპოვება გაეხადა. აი, ილიას შესანიშნავი სიტყვები: „სლავიანებმა, რომელთა ვინაობასაც სხვადასხვა მტერი მიუჩინა ისტორიამ, თავისი ვინაობის აღსადგენად და ქვეყნის დასახანავად, თავისი წარსული ხელახლად ააყენეს საფლავიდან, გამოსჩრიკეს, მისხლობით ასწონეს, გოჯით გაზომეს ყოველისფერი, რაც ძველად ჰქონდათ, რაც მათს ეროვნებას, მათს ვინაობას, ნაციონალობას შეადგენდა და სარჩულად ედგა. გაუცოცხლეს თავიანთ ერს, პოეზიის შემწეობით, დიდებულნი სახენი ძველის გმირებისა, ქვეყნისთვის თავდადებულობისა, ძველის ქველობისა, ძველის კაცურ-კაცობისა, მზაგონის ისტორიის შემწეობით, დაიწყებული სახელოვანი დღენი წარსულისა. აღადგინეს, გასწმინდეს, გააძლიერეს დედაენა, ფაშა ვითარებისგან გარყვნილი და შელახული. ამ გზით გამოაბრუნეს, გამოაცოცხლეს თითქმის სასიკვდილოდ გადადებული ერი. ერმა თავისი ვინაობა გაიგო, შეიტყო, რა ყოფილა, რა არის და რის იმედი უნდა ჰქონდეს, შეიტყო და ფეხზედ დადგა, ფრთა შეისხა. ამისი მაგალითი, სხვათა შორის, ჩეხელები არიან. აი, საგანი და აი, გზაც მისდა მისაღწევად, აი, რისთვის უნდა მომზადდეს ჩვენი ყმანვილკაცობა, მთელის ევროპის მეცნიერებით და გამოცდილებების ფარხმალთი შეჭურვილი. ჩვენი მხრით, ამაზე უკეთეს საგანს, ამაზე უკეთეს გზას, უკვე სხვაგან გამოცდილს და გამოყენებულს, სხვა ვერას ვუჩვენებ ჩვენს საიმედო ყმანვილკაცობას.“

აქედან სახეობთ ცხადია, თუ რა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ილია ჭავჭავაძე რუსული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში ერის წარსულის ცოდნას და პოეზიის საშუალებით იმ სახელოვანი ისტორიული გმირების სახე-

ების გაცოცხლებას, რომლებმაც სამშობლოსათვის თავი დასდეს. ზუსტად ასეთვე აზრისა იყო ამ საკითხზე აკაკი წერეთელიც და სწორედ ამით აიხსნება, რომ XIX საუკუნის 80-იანი წლებში მან საქართველოს ისტორიის სიუჟეტებზე რამდენიმე ლიტერატურული თხზულება შექმნა.

1882 წლის ზაფხულში აკაკიმ კახეთში იმოგზაურა და ხალხის წინაშე არაერთი შესანიშნავი ეროვნული სულისკვეთებით გაუღენთილი სიტყვა წარმოთქვა. 17 აგვისტოს თელავის ინტელიგენციის მიერ მის საპატივცემულოდ გამართულ სადილზე აკაკიმ თქვა: „ჩვენს სამშობლოში მისთანა ადგილზე ფეხს ვერ დადებთ, რომ ჩვენი წინაპრების ძეგლებით არ იყოს გამოხიერილი და მათ სისხლით დაბნალი. ისე ლუკმა პურს ვერ ჩავიდებთ პირში, რომ ჩვენი მამა-პაპების ნაწილი არ ჩაგვეყვს, და ვეუთ ღვინოს ვერ ჩაველაპავთ ისე, რომ ჩვენი თავგანწირული გმირების სისხლიც არ ერის! ის ლუკმა და წვეთი არიან ჩვენი „წმიდათა წმიდა“ ზიარება ჩვენითვის, რომელიც სინამდვილე და სასოებით უნდა მივიღოთ ხოლმე და გვაგონებდეს წინაპართა ღვინოსა და ჩვენც იმავე გზით მივემართებოდეთ, რა გზითაც მათ უფლიათ, მხოლოდ დროების შესაფერისად კი საჭირო არიან მეომარი გმირო-მამულიშვილები, იმავე გრძნობით და გონებით სრულნი, რა გრძნობითა და გონებითაც ჩვენი წინაპრები იმსჭვალეზოდნენ.“ პოეტის ამ სიტყვების შემდეგ ერთი წელიც არ იყო გასული, რომ გაზეთმა „დროებამ“ მკითხველებს აუწყა: „ამ დღეებში ჩვენ დაგვატკბო აკაკიმ თავისი ახალი პოემის წაკითხვით. პოეტის ნიჭი, კილო ენისა და მშვენიერი ლექსთნოყობა ცხადად იხატება პოემაში“. ასე დაიბადა პოემა „თორნიკე ერისთავი“ – ქართული პოეზიის შედევრი. არ გასულა დიდი ხანი და „თორნიკე ერისთავი“ გვერდში ამოუდგა კიდევ ერთი თხზულება – დრამატული პოემა „პატარა კახი“. ეს ორივე პოემა, ისევე როგორც აკაკის მრავალი სხვა ქმნილება, ქართველი ხალხის უსაყვარლეს ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის და დიდი ხანია ქართული ლიტერატურის ოქროს ფონდშია შესული. თუ რა გასაცარი შთამავლებელი ძალა შექონდა აკაკი წერეთლის პატრიოტულ პოეზიას – ამბობს გამოჩენილი ქართველი მწერალი გე-

ორტი ქიქოძე – არა მარტო საღად მოაზროვნე ქართულ დემოკრატიაზე, არამედ ეროვნულად გადაგვარებულ ქართველ ახალგაზრდობის ნაწილზე, ჩანს, მაგალითად, ივ. ბუჭუქაშვილის „მოგონებებიდან“, სადაც ავტორი გვიამბობს, რომ 15-16 წლამდე თავის თავს სრულიად ქართველად არ გრძნობდა და პიროვნულად ჩემში რაღაც სტიქიონურმა პატრიოტიზმმა იმ დღეს გაიღვიძა, როცა მასწავლებელმა კლასში ახლად გამოსული „თორნიკე ერისთავი“ წაგვიკითხა. არაფერი არ შეედრებოდა იმ სიამოვნებას, რაც ამ კითხვის დროს განვიცადეთ“. ასეთივე გასაცარი შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველსა და მაყურებელზე „პატარა კახი“, რომელიც თითქმის საუკუნეა, რაც ქართული თეატრის სცენას ამშვენებს და დღესაც საყოველთაო აღტაცებას იწვევს. ვინ იცის, რამდენ მამულიშვილს ათროლოვია გული ამ დრამის გმირთა სიტყვებზე და რამდენ მათგანს გადაუწყვეტია, თავგანწირვით ებრძოლა სამშობლოს დასაცავად, ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის. ერთი სიტყვით, ზედმეტია იმაზე სიტყვის გაგრძელება, რომ „თორნიკე ერისთავი“ და „პატარა კახი“ უდიდესი როლი შეასრულა ქართველი ხალხის ეროვნული სულისკვეთებით აღზრდის საქმეში და, რომ ამ მხრივ, მათი მნიშვნელობა ქართული კულტურისათვის ფასდაუდებელია, მაგრამ მეცნიერული თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა გაიკვლით კითხვა: რამდენად შეესაბამება ხსენებული პოემების შინაარსი ისტორიულ სინამდვილეს, ან სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პოემებში წარმოდგენილი ისტორიული ვითარება, გმირთა მოქმედება და სხვა, მარტო აკაკის ფანტაზიის ნაყოფია, თუ საქართველოს ისტორიული სინამდვილის მხატვრული ასახვაა? ამ საკითხის გარკვევას, ვფიქრობ, დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ხსენებული პოემების ავტორის გასაგებად, არამედ XIX საუკუნის ქართული რეალისტური ლიტერატურის მხატვრულ-მეთოდოლოგიური პრინციპების დასადგენად. კიტა აბაშიძე ეტიუდებში წერს: „აკაკი წერეთლის ისტორიული პოემა „თორნიკე ერისთავი“, „პატარა კახი“, დრამა „თამარ ციციანი“ და „პატარა კახი“, მისი „ბაში-აზუკი“, ერთი და იმავე აზრით აღსავსენი, სულ სამშობლოს ისტორიის იდეალიზაცი-ა და ამ მხრივ იხიწი ნაწილობრივ რომანტიკული ნაწარმოებები არიან და მარტო პოეტის პირადი შეხედულებების გამოხატულები. ეს პოემები და დრამები გვარწმუნებენ, რომ ძველ საქართველოს მზეზე არც ერთი შავი ლაქა არ ყოფილა, ყველანი მხნენი იყვნენ, გულადნი, მამაცნი, ყოველი სიკეთითა და მშვენიერებით აღსავსენი. ბერი ბერობას არ კადრულობს, პოლიტიკის მოღვაწეა და თავგანწირული მოწამე, მეფე ისე ადვილად სწირავს თავის გვირგვინთან ერთად თავის თავს და სკიპტრასთან ერთად – სულს სამშობლოსათვის, თითქოს ფლავის ჭამა გადაწყვიტოს... ომში ყოველთვის ერთი ქართველი ათასზედ იმარჯვებს, სიბრძნეში და ომის ტაქტიკაში ქართველები სჯობიან. ეს ყველა გაზვიადებული და პოეტის ოცნებით შეფუთული წარმოდგენა სინამდვილისა“. რა უნდა ითქვას ასეთი ბრალდებების გამო? ძნელი შესამჩნევია არ არის, რომ ზემოთ მოტანილი მსჯელობა აშკარად უსაფუძვლოა, ამიტომ სახეობთ ბუნებრივია, რომ ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში მან მხარდაჭერა ვერ პოვა. მკვლევრებმა კარგად შეამჩნიეს ამ მსჯელობის ტენდენციურობა და საკმაოდ საფუძვლიანად გააკრიტიკეს იგი, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ კაბაშიძის თვალსაზრისი ვერ კიდევ საბოლოოდ დაძლეული არ არის; საქმე ისაა, რომ აკაკის ზემოთ ხსენებული პოემების ისტორიული თვალსაზრისით განხილვა და შეფასება, თუ არ ვცდებით, ცოტათი თუ უცდება, უამისოდ კი ძნელია გაიკვეს, რამდენად სწორადაა აკაკის პოემებში ასახული ისტორიული სინამდვილე.

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ თორ-

◀ დასასრულის გვ. 1

ნიკე ერისთავი ისტორიული პიროვნება და მან ჩაიდინა ის გმირობა, რომელიც აკაკის პოემამ...

უთუოდ დაგვეთანხმება, რომ ამ პოემაში მხატვრულად დასახული ომი უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ...

უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია კ. აბაშიძის მსჯელობა აგრეთვე იმის შესახებ...

ადგილი. ამიტომ გაუძლო ამ პოემამ დროის გამოცდას...

რაც შეეხება კ. აბაშიძის მტკიცებას, თითქოს აკაკის მიერ დახატული ისტორიული გმირები ყველანი იდეალურად უნაკლონი იყვნენ...

ვინ არიან, მაგალითად, თავადები რევაზ ბუბურიშვილი და მისი ძმა ნოდარი, აგრეთვე მისი მსახური თედო რამაზაშვილი...

– გმადლობ, ვიცი, ქვრივობები რომ გიყვარს, მათ ჰქონდეს და მე კი ჩემთვის არ ავიღებ არც ნახევარსოფელს...

ცნობილია, რომ ფეოდალურ საქართველოში ქვრივობა მხოლოდ მთავრების შინაგანი ვითარებით და ლატაკებით სიმრავლით იყო გამოწვეული...

გმირის ფუნქცია აკაკის პოემაში

დებოდა. დავით კურაპალატმა და მისმა მრჩეველებმა გადაწყვიტეს, კეისარს დახმარებოდნენ...



როგორც ვხედავთ, თორნიკე ერისთავის ის პორტრეტი, რომელიც აკაკის პოემაშია წარმოდგენილი...

დება, რომ ესენი იყვნენ დავით კურაპალატის ძლევაში მონაწილე არმიის რჩეული ვაჟკაცები, ომებში გამოცდილი და მალაღობი დისციპლინის მქონენი...

დავით კურაპალატი, როგორც ჩანს, ძალიან კარგად იცნობდა ბიზანტიამ იმ დროს შექმნილ ვითარებას...

ნათელია, რომ აკაკი წერეთელმა თავის პოემაში სწორად დასახა ისტორიული სინამდვილე და დაუმახინჯებლად გადმოგვცა ძველი საქართველოს ცხოვრების სურათები...

სკლიაროსთან გამარჯვების შემდეგ საქართველოში ბიზანტიისაგან საკმაოდ ვრცელი ტერიტორია ე.წ. ზემონი ქვეყანანი მიიღო, თორნიკე ერისთავს კი ხელში ჩაუვარდა დიდი სამხედრო ნადავლი...


საქართველოს მთავარი მხედრობის მამამთა თვისისა სულთერისა იოვანეს ხელთა მისცა და თავი თვისი სრულიად უარყო და არცა თუ მცირედი რაიმე დაუტევა ხელმწიფებასა ქვეშეთისა...

კიდევ. ნათქვამიდან ცხადია, რომ აკაკის სრული უფლება ჰქონდა გამოგონებინა თორნიკე ერისთავისა და დავით კურაპალატის დიდილოგი...

„ნუთუ მენ მართლა, რამე გვირია ცარიელ სიტყვით ღვთისა დიდება? განა ღვანლია ხორციელის გან ამა სოფლისა კრძალვარდობა? და ეს ქვეყანა მშვენიერით სავსე, შემოქმედების გამოზნატვლი, ნუთუ მითომ გვაქვს მონიჭებული, რომ ჩვენის ნებით ავიღოთ ხელი? საქმეა, მხოლოდ საქმე საჭირო, გულიცა წმინდად დაბადებული და ქვეყნის კეთილ ზრახვებით სრული სიწმინდით გახელებული... ეს არის მხოლოდ ქრისტის მოძღვრება საქრისტიანო ეს არის ვალი! და ვინც ამბობს ამბუხ სხვებსაც, დაბნეული იქნება მისი და კვალა...“

ღმერთმა ბუჩქი შეგაძღვინათ!

ამბობენ, - დრო ადამიანს ცვლის! ზოგადად, ეს შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ არიან ადამიანები, რომელთა შეხედულებებს, აზრებს, მისწრაფებებს, დრო ვერაფერს აკლებს.



საპატიო ადგილი საქართველოს უმწვენიერეს ქალაქ ბორჯომში და აქედან ესალმუნება თავის მშობლიურ საქართველოს.

გარკვეული ადამიანების მოღვაწეობა, დღე-ნაღამე, ჭეშმარიტების ძიებისკენაა მიმართული, რომლებიც არც ფულზე იყიდებიან და ცხოვრებას არაკაცობით არ იწყებენ, არც მრწამსს იცვლიან, ქვეყანას კი უანგაროდ ემსახურებიან.

დღევანდელმა ცხოვრებამ ნათლად დაგვანახა - ვინ ვინ არის! ზოგიერთი ადამიანი ცხრაპირ ტყავს რომ გამოიცილოს და ნავიდან ნავში გადახტება, მოჩვენებით, ხალხის „სამსახურისთვის“ ვითომ თავს იკლავს, ქვეყნის, თანამოძმის ბედი, საუბედუროდ, ჩირადაც არ უღირს. ასეთ გაურკვეველ დროში, საბედნიეროდ, ერთეული პრინციპული, თავდადებული ადამიანები კაშკაშა ვარსკვლავებით გამოჩნდებიან და ხალხთან ერთად იზიარებენ ჭირსაც, ღვინასაც და ალალ ლუკმა-პურს ჯერდებიან მხოლოდ.

სწორედ ასეთი პრინციპული და ალაღმართალი ადამიანია ჩვენი ერთგული მეგობარი, მწერალი, პოეტი, პუბლიცისტი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, ვაჟა-ფშაველას პრემიის ლაურეატი, ბორჯომის კოლორიტი, უშანგი ჯანგირაშვილი, მთელი კაცია, რომელმაც თითქმის 40 წელია დაიმკვიდრა თავისი

სულიერ სამყაროს ამდიდრებს.

სულ სხვაა უშანგი ჯანგირაშვილის პოეტური სამყარო, სადაც მასში, ძირითადად, მხოლოდ სიყვარული და ცხოვრებისეული პრობლემები გამოსჭვივს. მის პოეზიაში ჩანს მისი პოეტური ნიჭი, მასაც ახალგაზრდული ჟინი ნვავს მარად უჭკნობი სიყვარული, ურომლოდაც არავის ძალუმს სხვაგვარად ადამიანური ცხოვრება.

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში წარმოდგენილი იუბილარი პოეტის რამდენიმე ლექსის გაცნობითაც დარწმუნდება ჩვენი ერთგული მკითხველი თუ როგორ საინტერესო პოეტთან გვაქვს საქმე და საამაყო, რომ იგი ჩვენს გვერდით ცხოვრობს და უპირატესად ამდიდრებს ქართულ პოეზიას თავისი ნაღდი და გულში ჩამწვდომი ლექსებით.

ამასთანავე, უშანგი ჯანგირაშვილის, როგორც პროფესიით ფილოლოგის კალამს ეკუთვნის ბევრი საინტერესო ლიტერატურული კვლევა და პუბლიკაცია მიძღვნილი ქართველი კლასიკოსების, განსაკუთრებით ვაჟა-ფშაველასადმი და ურიგო არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ამ ნაშრომებით მან დიდი ხანია მიიპყრო ქართველ მეცნიერ-ფილოლოგთა ყურადღება.

70 წლის შემოქმედი, მიუხედავად ასაკისა, დღესაც ახალგაზრდული შემართებით იღწვის

ლიტერატურულ თუ ჟურნალისტურ სარბიელზე, ალაღმართალი, ნაღდი კაცის, ერთგული მეგობრის სახელით ფასობს იგი ფართო საზოგადოებაში და კვლავაც რჩება გამორჩეულ ჟურნალისტად როგორც ვაზეთ „ბორჯომის“ რედაქციაში, სადაც იგი რედაქტორის მოადგილედ მუშაობს, ასევე სამცხე-ჯავახეთის მხარეში და თავისი კაცურ-კაცობით ამშვენებს ისედაც მშვენიერ ბორჯომ-ქალაქს.

უშანგი ჯანგირაშვილი დიდი სიყვარულით სარგებლობს არა მარტო ბორჯომის მუნიციპალიტეტში, არამედ მთელ რეგიონში. ეს კი მას თავად მის მიერ სიყვარულით განვლილმა ცხოვრებამ მოუტანა.

მიიღეთ ჩვენი გულთბილი საიუბილეო მილოცვა ჩვენო ერთგული მეგობარი, ჩვენი უშანგი და ღმერთმა შეგაძღვინათ ასე ახალგაზრდული შემართებით კიდევ დიდხანს, ძალიან დიდხანს ყოფილიყო სრულიად საქართველოსა და ხალხის სამსახურში.

წლები ვერაფერს დაგვკლებს, რადგან მრავალი წლის გასვლის შემდეგ უფრო ფასობენ თქვენსთანა ადამიანები!..

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქციის სახელით, აპთანდოლ გარიძა

უშანგი ჯანგირაშვილის ლიტერატურული წერილების ჩემული შეფასება

ჩვენ იმ ლიტერატურულ წერილებზე ვისაუბრებთ, რომლებიც წარმოდგენილია წიგნში „ვაჟა-ფშაველას მხატვრულ სამყაროში“ (თბილისი, 2011 წ.).

ვახუშტი კოტეტიშვილმა თავის დროზე აღნიშნა: „უშანგი ჯანგირაშვილმა, შეიძლება ითქვას, ახალი სიტყვა თქვა ვაჟა-ფშაველას გმირების ხასიათის ამოცნობაში. კერძოდ, სრულად გახსნა ჯოჯოხას სულის ტრაგედია“.

ამჯერად ჩვენ გვინდა შედარებით ფართოდ წარმოვიდგინოთ ეს „ახალი სიტყვა“ ჯოჯოხას ხასიათის ამოცნობისა და მისი სულის ტრაგედიის უშანგი ჯანგირაშვილის მიერ „სრულად გახსნა“.

პირველ ყოვლისა, მან უარყო პროფესორ გრიგოლ კიკნაძის (სხვათა შორის, მისი ლექტორის, რომელიც ახალისებდა თავის სტუდენტს, რომ არავის, თვით მის კრიტიკას არ მორიდებოდა და ისე ეწერა, როგორც მართებულად მიიჩნედა) მოსაზრება იმის შესახებ, რომ „ვაჟას გმირებისათვის არ არის ცნობილი ადათი, თუ როგორ უნდა მოქცეს ადამიანი, მაშინ როდესაც მტერია სტუმრად“. მან მიუთითა, რომ მკვლევარის ეს წინადადება (მოსაზრება) მინაარსობრივად წინააღმდეგობრივია მისსავე შემდეგ მოსაზრებასთან (წინადადებასთან): „ჯოჯოხა ცნობს იმ ადათს, რომლის თანახმადაც ოჯახიდან გასული სტუმარის მიმართ ისევე ძალაში შედის სისხლის აღების მოთხოვნა“. უშანგი ჯანგირაშვილი კითხვობს: ოჯახიდან გასული სტუმარი მტრის მიმართ თუ ძალაში შედის სისხლის აღების მოთხოვნა, მაშინ, სანამ ოჯახიდან არ გასულია, სანამ ოჯახში რჩება, რომელი ადათია ძალაში? (ცხადია, ეს ადათი სტუმარ-მასპინძლობის ადათია, ე.ი. სტუმარი ხელშეუხებელია, მნიშვნელობა არ აქვს, სტუმარი მტერია თუ არ არის მტერი. იგი აზუსტებს: „ეს ორივე იცის (ე.ი. „ცნობილია“) ჯოჯოხამაც და თემმაც, მაგრამ თემი არ იცავს ამ ადათს, იმიტომ რომ ასე მოითხოვა სიტუაციაში - მასსადამე, მხატვრულ ნაწარმოებში (ამ შემთხვევაში - „სტუმარ-მასპინძელი“) მთავარია მხატვრული სიტუაცია და არა ადათ-წესები: - ამას თავის წერილში არაერთგზის ხაზს უსვამს მკვლევარი.

უშანგი ჯანგირაშვილმა უარყო მანამდე ვაჟაოლოგიაში გაბატონებული აზრი, რომელიც ბატონ გრიგოლ კიკნაძის ამ მოსაზრებიდან მოდიოდა: „ჯოჯოხა სრულიადაც არ ზრუნავს ზვიადურის, როგორც მტრის, დაცვაზე“. ბატონი გრიგოლი, თავისი მხრივ, ეყრდნობოდა ჯოჯოხას ნათქვამს: „როცა გასცდება ჩემს ოჯახს, იქ მოეპყარით ავადა“. უშანგი ჯანგირაშვილმა ამ სტრიქონების ახლებური გაგება, სხვანაირი ნაკითხვა შემოგვთავაზა: მთავარია, რომ ჯოჯოხა თავის თავს გამოიცილავს ამ „ავადმოპყრობის პროცესიდან, რადგან პირველ პირში არ ლაპარაკობს: „მოვეპყართ“ კი არა, „მოეპყართ“ -ო. მისი სიტყვა-სიტყვითი მსჯელობა ასეთია: „იქ მოეპყარით ავადა“, ჯოჯოხას მიერ გულის იმ ფარული ნადილითაც არის ნათქვამი, რომ: „იქნებ აქ როგორმე გადავარჩინო ზვიადური და მერე „გარეთ“ რაც მოხდება, - მოხდეს, იქნებ იქაც გადარჩეს!“ ამ ნათქვამით ჯოჯოხა აშკარად, რეალურად იცავს სტუმარ-მასპინძლობის

ადათ-წესს, ამავე დროს „შეფარვით“ იცავს თავის მოსისხლე მტერსაც და, პირველ ყოვლისა, მას! ეს ნათქვამი ხერხია, პირობითია, რათა გაბოროტებული თემი როგორმე შეაჩეროს!

უშანგი ჯანგირაშვილმა ჯოჯოხას სახის კომპოზიციური განხილვით დაამტკიცა, რომ (სჯობს, თეზისების სახით ჩამოვყალიბებით):

1. „ჯოჯოხას ტრაგედია მისი სულის სიღრმეებშია საძიებელი“;
2. ვაჟას მხატვრული მიზანი თემის „შინაგანი წინააღმდეგობის“ ჩვენება კი არ არის, როგორც ტრაგედიის მიზეზის, არამედ ჩვენება გმირის შინაგანი ამაღლებულობისა, როგორც ტრაგედიის მიზეზის“...;
3. ჯოჯოხას პატივისცემა ზვიადურისადმი თანდათან ძლიერდება და ძმობის სურვილამდე „აღწევს“ (მაღლდება). ეს ძმობის სურვილი აღმოჩნდება ის დიდი ძალა, რომელითაც მთელ თემს დაუპირისპირდება და არა მხოლოდ სტუმარ-მასპინძლობის ადათი და მისი დაცვა, როგორც აქამდე მიიჩნევდნენ მკვლევარები.
4. „ტრაგიკული კვანძის ამოსავალია ის, რომ ზვიადურის „სიკარგე“ დანაწილდა: ერთი მხრივ, ზვიადური არის „არაჩვეულებრივი“ მტერი, მეორე მხრივ - ზვიადური არის „არაჩვეულებრივი“ სტუმარი...;
5. „მე“-ს დაძლევა ჯოჯოხასგან იმაში გამოიხატება, რომ „არაჩვეულებრივი მტერს“ ყველაფერი აპატიოს იმიტომ, რომ იგი, ამასთანავე, „არაჩვეულებრივი სტუმარია“, მოხსნას მის მიმართ ყოველგვარი „წარსული“ და არა მხოლოდ იმაში, რომ სტუმარ-მასპინძლობის ადათი, რაც შეიძლება შეუპოვრად დაიცვას.
6. ჯოჯოხას ფენომენის მთავარი განმსაზღვრელია არა „პიროვნული ღირსების დაცვის“ მოტივი (როგორც მიიჩნევენ მკვლევარები), არამედ მიმტვებლობის მოტივი (რომლის შიგთავსია პიროვნული ღირსების დაცვა).
7. ვაჟასთან ადათები სიტუაციაზე არიან მორგებულნი, სიტუაცია „ემორიკლებიან“, ამდენად, ისინი პერსონაჟებისგან (ან თემისგან) შეიძლება ნიუანსურად შეიცვალოს... პოემის ტექსტიდანაც ხომ ჩანს, რომ თემი მიყვება, „ემორიკლება“ სიტუაციიდან გამომდინარე მათ მიერვე მიღებულ ახალ „წარჩევს“ და არა ადათს!
8. მკლავის მოჭრა ადათი იყო და არა მხოლოდ ზნეობრივი ნორმა (ასე მიიჩნევდნენ მკვლევარები). მთაში „შერცხვენა“ ხშირად ადამიანის „ცოცხლად დამარხვას“ უდრდა. „შერცხვენა“ ისეთი მორალური სასჯელი იყო, რომ ფიზიკურ სასჯელს ზოგჯერ კიდევ აჭარბებდა.
9. სიტუაციაში თემი მართალია, მაგრამ უარყოფითია. მართალია ჯოჯოხაც, რომელიც, თუმცა, დამარცხდა, მაგრამ გაიმარჯვა. ამდენად, იგი დადებითია. ასეთ ალოგიზშია ჭეშმარიტების არსი! მართალ-უარყოფითს უპირისპირდება, ეჯახება და იმარჯვებს „მართალი-დადებითი“.
10. სოფელ ჯარეგას თემი კაცობრიობის

მინიატურული უჯრედი და ალევორიულ-სიმბოლური სახეა, სადაც მწვავე ტრაგიკული დრამა გათამაშდა. სიზმარული ჩვენების ცქერით სოფლები (აგრეთვე მკითხველები) მიხვდნენ, (ხედებიან), რომ ისე უნდა იცხოვრონ, როგორც ჩვენებაში ეს სამეული (ჯოჯოხა, ალაზა, ზვიადური) „ცხოვრობს“.



უ.ჯანგირაშვილი ტემურჩალაბაშვილთან მის შვილიშვილთან და თამარ ლომიძესთან ერთად

ეს ჩვენება ჯარეგელებისათვის, იგივე კაცობრიობისათვის, გასაცნობიერებელი ჩვენებაა, დასკვნების გამოსატანი ჩვენებაა, - ადამიანებმა სიყვარულით უნდა იცხოვრონ და არა სიძულვილით.

11. ბოლო სტროფით პოემა ოპტიმისტური (და ალევორიული) „ხატი“ და „ტონით“ მთავრდება. „მხოლოდ მდინარის ხმა ისმის, დაბლა მიქანავს ხველითა“, - ეს დროის, წუთისოფელის მუდმივი მდინარეა; „პირიმის ყელის მოღერებით დაქქერება“ - ადამიანების და სხვა ცოცხალი არსებების ლამაზი სიცოცხლე. „ყელის მოღერებით „დაქქერება“ - სიკვდილზე და ცხოვრებაზე გამარჯვება, როცა ისინი (ადამიანები) შრომას და სიძულვილს კი ამ თესვენ, არამედ - სიკეთესა და სიყვარულს.

ეს არის (ე.ი. სიკეთის და სიყვარულის თესვით ბოროტებაზე, იგივე შურისძიებაზე, გამარჯვება) ამ პოემის დედააზრი, ისევე, როგორც, კონკრეტულად, დედააზრი ჯოჯოხას მხატვრული სახისა.

ბატონმა ვახუშტი კოტეტიშვილმა აგრეთვე აღნიშნა, რომ უშანგი ჯანგირაშვილმა „სრულად ამოხსნა ალაზას სიყვარულის „საიდუმლო“. ეს საიდუმლო კი ის არის, რომ ალაზას სიყვარული, როგორც ზემოთ აღვნიშ-

ნეთ, ფშაური ტრადიციული „წაწლობის“ სიყვარულია, იგივე „წაწლობა-წაწობობა“, რომელსაც ვაჟა წმინდა, რაინდული, „პლატონური“ სიყვარული უწოდდა.

უშანგი ჯანგირაშვილმა ასევე გააკრიტიკა პროფესორ აკაკი ხინთიბიძის ცალკეული მოსაზრებანი, რომლებიც პოემა „ბახტრინის“ კომპოზიციას ეხება და დამაჯერებლად აჩვენა, რომ პოემაში ცალკეული „ლექსიკური დამთხვევები“ არ შეიძლება კომპოზიციურ „საგანგებო ხერხებად“ წარმოვადგინოთ. ვაჟას პოემებზე დაკვირვებით მან გამოიტანა დასკვნა, რომ „ვაჟა-ფშაველა პეიზაჟის მთლიან სურათში გამოცალკევებულად რომელიმე დეტალს არ ანიჭებს კომპოზიციურ ფუნქციას. პეიზაჟის მთლიანი სურათი (დეტალთა სიმრავლე) ესთეტიურ-განწყობისეულ და ლოკალურ-კომპოზიციურ „ველს“ ქმნის, რომელიც სრულ გამოვლენას აღწევს პეიზაჟის იმ თავში, რომელშიც იგია მოცემული“. იგივე შეცდომებზე მიუთითა ბატონ გასტონ ბუაჩიძესაც.

იმის შესახებ, თუ რა უპასუხა ვაჟა-ფშაველამ აკაკი წერეთელს, უშანგი ჯანგირაშვილი ეკამათება პროფესორ ვენორი ქვანახისა და დამაჯერებლად აჩვენა, რომ ვაჟასგან ფშაურ დიალექტზე წერა სულაც არ არის „უკუთხური დამოუკიდებლობა“. ასევე მკვლევარ გიორგი არაბულისგან განსხვავებით „სტუმარ-მასპინძლის“ თემა ასე ჩამოაყალიბა: „სტუმარ-მასპინძლის“ თემა არის სტუმარ-მასპინძლობის ტრაგიკული სიტუაციაში ჩავარდნილი მთელი გმირების შინაგანი ამაღლებულობის პროცესი, როცა ისინი არამარტო არ ლალატობენ მეგობრობის, პიროვნულ ღირსებათა პატივისცემას, სტუმარ-მასპინძლობის, რაინდობის, ვაჟაკობის, „კაი ყმობის“ და „კაი ქალბის“ დიდ გრძობებს, არამედ მათ დაცვას სწირავენ თავს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია უშანგი ჯანგირაშვილის მოსაზრებანი ვაჟას დიალოგის თავისებურებებზე. ვფიქრობთ, ეს შეხედულებები უნდა გაიზიაროს ქართულმა ლიტერატურათმცოდნეობამ.

უშანგი ჯანგირაშვილის ლიტერატურულ წერილებში მრავალი სხვა ნოვატორული ხედვა და თვალსაზრისი მოიძებნება. იგი ხშირად მსჯელობს არა მხოლოდ ფილოლოგიის, ლიტერატორის, არამედ პროფესიონალი ფსიქოლოგის და ფილოსოფოსის მსჯელობითაც კი. ეს კი მისი ნიჭიერების და ფართო ერუდიციის დასტურია.

თემურ ჩალაბაშვილი, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე

P.S. ბოლოს. დავეძენ: კარგი იქნება, თუ ამდენი ნოვატორული მიგნებების ავტორს მიენიჭება (თუნდაც დისერტაციის დაუცველად) ფილოლოგიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი და ამის შესახებ საკითხი (შუამდგომლობა) აღიძვრება რომელიმე ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წინაშე.

ჩაქო ალაია

კაცობრიული მსოფლიოს უპირველესი ხელოვნებისა და კულტურის ქალაქი ზეციურად დუმს დღევანდელ ამინდთან ერთად და უფლისმიერობს, თუმცა ხშირად მისი მშვენიერება ცა ღრუბლების გადაფრენებით ოდნავ ნერვიული და დინამიური. დილის თერთმეტ საათამდე ბუნება თავის წარმოდგენილ მოვლენათა უმდიდრეს სახეს დინჯად და თანმიმდევრობით გვთავაზობს. შემდეგ იწყება გარდაამავალი ულამაზესი ზეცის მორიგ მოვლენათა მრავალფეროვნული ცვალებადობა. გუმინდელი შემოქმედებითა და აღმზარებით დღის მალალი ემოციებით დალილ-დაქანცული და, ზოგადად, ფერწერისგანაც გაღიზიანებული, გათენებული არ იყო, გამელვიდა. მერმე ავდექი, ატელიეს ელექტრომუქები, უფრო დღის ძლიერი განათებით, ავანთე. მხატვარს ამ დონის და ფართის შემოქმედებითი სახელოსნო ჰქონდეს პარიზში, თანაც ღვთისმ-

უმიდრესი დატვირთვაა. „ორანჟერე“? ლირიკულად ახლოსაა ყველასთან. მართლაც მშვენიერი ცხოველის სილამაზიკე-ლუცე თუ ერთფერულება მერჩენია მის კედელთა უხილაობას. როგორ მოვიქცე? ისევ ჩემს თავს ვეკითხები: პიკასოს მუზეუმი?! იქ ხომ სევდაცაა და ღრმა ფიქრ-აზროვნება-ფილოსოფიაც, — უმიდრესი წარსულ-დღევანდლობა, ნებისმიერისთვის ოცნებითაც გაუგონარი სულიერი მრავალკუთხოვანი ურთულესი ანმყოფი. კენჭი ვუყარე ჩემს არჩევანს და პაბლო პიკასოს სახლ-მუზეუმის უკვე მერამდენედ დათვალიერებით თუ თავიდან სიახლეების ხილვით, სწრაფი გონებრივი მიდევნებით, უთუო შინაგანი თვისებებით. და ასე გადაწყდა: მხატვრისთვის მუზეუმური მხოლოდ მონახულებით? არა! მგონი არ ესადაგება პიკასოსთან ჩვეულებრივ მისვლას, იქ უფრო ზერეალური და ღრმად რომანტიული მხატვრულ-მეცნიერული სიცოცხლისეული უშუალო უფაქიხესი ჩახედვაა

მონყობილი ეზოსკენ სქელმინიანი ფანჯრიდან გავიხედე. მარცხნივ კუთხეში ლურჯი მაგიდები რომ შევნიშნე, უმალ მომაგონდა ჩემთვის ბედნიერი 1998 წელი, როდესაც საქართველოს საელჩოს, პუენკარეს ქუჩაზე მდებარე პიუგოს მიედანთან ახლოს, ულამაზეს დარბაზებში პერსონალური გამოფენა რომ მომიწყვეს საქართველოს ელჩის, ბატონ გოჩა ჩოგოვადის ინიციატივითა და კონსულ ავთანდილ ძაგანიას, კულტურის ატაშე მერაბ მიქელაძის, ვლადიმერ ზარიძისა და კახა პოპიაშვილის თანადგომით, თბილისიდან მეუღლესთან ერთად ჩამოტანილი ოთხმოცამდე ფერწერული სურათისა, რომელსაც ერეკა „კოლხურ-ქართული თოვლი“. გამოფენას საკმაოდ დიდი წარმატება ხვდა. ფაქტს ქართულ-ფრანგული პრესა და ვიდეოფილმები ადასტურებენ. გახსნის საღამოს თანამემამულეთა პარიზული უფროსი თაობის დიასპორა და მათი შვილები თითქმის ყველა მობრძანდა, კერძოდ, ნოე ჟორდანისა ქალიშვილი, ნოე რამიშვილის

გამოუთქმელი გემოვნებით იხატება. მაგდაგარი ზეციურ-მიწუნდომელი ჯადოთია ყოველი ნაწარმოები შექმნილი. მხატვრის უშრეტო ნიჭი და გენია ნაწარმოებებიდან ნიაღვრად ყველგან რომ მოსჩქეფს. ნებისმიერ სურათ-გრაფიკაშიც, ერთ მისხალ მოსაწყენ ანუ განზე გახედულ ჩამაფიქრებელ განწყობილებას ვერ შევამჩნევთ, იმდაგვარად მრავალკუთხოვან-ფერადოვანია მოუსვენარი მხატვრის ტემპერამენტური შედეგები. ხატავს და ქმნის, ნებისმიერ მასალაში, შავი ტუმი-კალით, ფერადი ფენქრით, ფლომასტრით, აკვარელთა, სველი ფუნჯით, გუაშით; ქალაღზე, მუყაოზე, ტილოზე, თეფშზე, ფიცარზე, ასანთის კოლოფზე, იშვიათად — აგურზე, უბის ნიგნაკში, ჟურნალებისა და გაზეთების სუფთა ადგილებზე; რესტორანში თუ კაფეებში ხელსახოცებზე ხატავს და წყარო ანკარად მუსიკალობს, დიდი მხატვარი მღერის ლაღად და საუბრობს. ყველგან, ყოველ ნაწარმოებში, პიკასოს თვითმყოფადი, გამორჩეული

პაკიზი: ემოციებით დატვირთული თოკები აგვისტოს

შობლის ტაძრის ახლოს, ოცნებითაც ძნელი მაგისტრანა იშვიათი ბედის წარმოდგენა, მაგრამ ჩემმა დაუზოგავმა შრომამ და თვითმყოფადმა პარიზულმა პეიზაჟებმა დაიმსახურეს ყოველივე და ფრანგები (სიტყვით-ზარის) მსოფლიოს ხელოვნების ცენტრის ყოველად საუკეთესო ატელიეებს მთავაზობდნენ (საერთოდ, ამ სამყაროში, კონკურსზე გამარჯვებულს ერთხელ ან ორჯერ თუ ინვესტდნენ...). ერთხელ იყო და, ისრაელის გამოჩენილ ატელიეში ექვსი თვე მაცხოვრეს და მამუშავეს, ორჯერ — ამერიკელების ატელიეში, მერმე, რამდენჯერმე, თავად ფრანგებშიც, რომელიც პირდაპირ ნოტრ-დამს გადაწყურებს. რუსებს აქ სამი ატელიე გააჩნიათ, — ყოფილი საბჭოთა კავშირის დროინდელი. მე მათზე თავად უარი განვიცხადე ადგილობრივ ხელმძღვანელობას. რატომ? მოსკოვ-სანკტ-პეტერბურგიდან ან ურალ-ციმბირიდან ძალიან ბევრ მხატვარს გაზენის მოსკოვი და რუს კოლეგებს ხელს არ შეუშლი-მეთქი. ჩემი ასეთი მიდგომა სანკტ-პეტერბურგელ და მოსკოველ მხატვრებს რომ ფუამბე, ძალიან მოეწონათ და მეგობრული მადლობაც გამომიცხადეს: ჩვენ, როგორც კოლეგები, პარიზში შესანიშნავად ვმეგობრობდით, ვუგებდით ერთმანეთს და, ალაღად ვიტყვი, მათგან კარგი და კეთილი ხალხიც ბევრი ვგახლდა.



დიდი პიკასოს ნახატების დათვალიერება-შესწავლა, რომელშიც ამქვეყნიურ-ზეციური ცხოვრებისეული ყოველმხრივია თავმოყრილი-ასხმულ-აწუქურთმებული. პიკასოს სახლ-მუზეუმიდან დაბრუნებული, სამოცდათხუთმეტი ნომერი მწვანე კომფორტული ავტობუსით წავალ ლუერის მშენებელ ეზოში და დღევანდელ მორიგ მზის ჩასვლას დაგხატავ; ამდაგვარად დავგეგმე შემოქმედებითი თორმეტი ნომერის წინასწარ გათვლილი მზიანი დღე და ერთი თუ ორი საათი, უხივლო სიზმრების გარემოცვაში ისევ წავუძინე, ამ დროს ატელიე და ჩემი სურათები, თავიანთთვის, გარინდულნი, დუმდნენ...

თერთმეტ საათზე უკვე პიკასოს მუზეუმში გახლავართ და სიტყვით ვაპირადული საბუთით მშვენიერმა ტანცქირალა ფრანგის ასულმა ლიმილით გამატარა. ფოტოაპარატი არ გამომიჩენია, თუმცა მე აქაც მიცნობენ და შეფერხება არ იქნებოდა. სახატავი ალბომის შეტანა კი ამიკრძალეს, მერმე რბილი მოთხოვნით, შევასხენე: — „მადამუზეუ, მე ხომ მხატვარი გახლავართ, შეიძლება რომელიმე ზედამხედველის ჩანახატიც შევქმნა“, — მიფუგე და წინადადება დადებითად გაჭრა: — ამ დღეებში მუზეუმის მუდმივ საექსპოზიციო კედლებზე პიკასოს უფრო სხვადასხვა დროისა და მიმდინარეობის გრაფიკა იყო გამოფენილი, ორი თუ სამი, მხატვრის ცხოვრება-მოღვაწეობის დროინდელი მეგობარი, პარიზელი მდიდარი ფრანგი კოლექციონერებისა; წარმოუდგენელია შეფასება, მხატვრული თვალსაზრისით, გონ-მოუნჯდომელი და მინაგანად ფართული სულიერი გახედლების შედეგებისა. პიკასოსიერი გენიები ხომ იშვიათობაა, საერთოდ, ჩვენი პლანეტის თუ პარიზის მხატვრული შემოქმედებით უმიდრეს სივრცეში.

ასევე, მკვირვად ნაგები ოთხსართულიანი, ულამაზესი, ძველბურთი სასახლის მრავალ დარბაზში მუზეუმის ძირითადი ფონდების ფერწერული სურათები ყველგან ვარსკვლავებებით ციაგობენ, ზოგი მათგანი მზეა ნამდვილი. პირველი სართულის მარცხენა დარბაზის ნაბლისფერი ხის სკამზე დინჯად ჩამოვჯექი. — ცოტათი სულს მოვიტყეამ და დავისვენებ, — ვიფიქრე. თან მუზეუმის ულამაზესი დეკორატიულად გემოვნებით

შვილი, პროფესორი აკაკი რამიშვილი, ერისთავები, ბეროშვილი, დადიანები, დიდი ქალბატონი — ნიკო ბურის ასული და უამრავი ფრანგი, ხელოვნებისა და არისტოკრატის წარმომადგენლები. ყველას ჩამოთვლა, ამ შემთხვევაში, ძნელია: ჩემს პარიზულ-ქართულ ვერსიას ამშვენიერდა ფრანგული და მსოფლიო კინოვარსკვლავი პიერ რიშარი, თბილისელი მსახიობის, ნანა ჯორჯაძის, უმშვენიერესი ქალბატონის თანხლებით. იმ უმნიშვნელოვანესი საღამოს სიამაყე გახლდათ ქართული ეროვნული, უმაღლესი და უძველესი გენის უშუალო წარდგენითი უკვდავი სახე.

დავუბრუნდები ლურჯი მაგიდის ლირიკული ლიმილის მომგვრელ კეთილ მოგონებას: მაგიდასთან ვზივართ: საქართველოს საელჩოს კულტურის ატაშე, სრულიად ახალგაზრდა, დიდებული პიროვნება, ბატონი მერაბ მიქელაძე (ფოტოზე). ნელ-ნელა ვსვამთ ყავას და ვსაუბრობთ თემაზე — პაბლო პიკასოს შემოქმედებითი სამყაროსა და მხატვრის მდიდარი ისტორიის ირგვლივ. ამ დროს მოფრინდა სამი ცისფერ-სპილოს ძვლის ფერებში განყოფილი წითელფეხე და მტრული და ჩვენი მაგიდის თავისუფლად ადგილზე დასხდა. ფუსფუსებენ, თავიანთი შავი, ციმციმა თვალებით იყურებიან იქით-აქეთ. ასე ვაგრძელდა ფრინველთა სტუმრობა კარგახანს, ჩვენ კი გაოგნებულნი და გახარებულნი, ღიმილად ქცეულნი, საამით შევყურებთ უკვე ჩვენთან დამეგობრებულ, ამ მართლაც პიკასოს თვინიერ მშვიდობის მტრედებს.

უმალ ულამაზესი წარსულის სევდამ შემიპყრო და მერმე ჩემი მზერა გადაერთო აქ წარმოდგენილ დიდ ხელოვნებაზე და გაოგნებული მივჩერებოვარ კაცობრიობის ამ უიმპიათეს, სრულიად სიახლე-შედეგებს, ახმინებულს საოცარ გრაფიკებში. გიკვირს ნებისმიერში უხილავ ფერწერასაც რომ ხედავ — ქანდაკების ქანდაკებურობის შინაგან სიმკვირვეს თავისებურად გრძნობ და აღიქვამ. ხაზი წარწარ სიბრტყეზე ჰარმონიულად გაედინება, მერმე ფორმა კუთხოვანს შეუერთდება, იქვე მტყველ ტონალობად დაჯდება, ისევ განაივდება-ჩამოიქროლებს დენადობით და პორტრეტი ან ფიგურა ღვთიური, ერთ

ფრთხმესხმული გრაფიკა, თავისი შინაგანი და გარესამყაროსეული მალამმხატვრული, გემოვნებიანი სივრცე, ჯანსაღი და ურყევი სულიერი ტევადობისა, მაგრამ მათში ზოგიერთი ნაწარმოები ცალკე ხელოვნებაში ჯერ არქმნილ-არნახული, სრულიად ახალი მიმდევრობის სათავედ წარმოგვიდგება.

„პიკასო კოსმოსურ მხატვრულ ფორმათა გამოხატვის სივრცობრივი მრისხანება იყო“. ყოველი ნახატის ტრადიციულ რეალურ აგებულებას მხატვარი არღვევს და ახალ ცოცხალ ფორმად ქმნის, რომელიც სრულიად მართალ-მხატვრულ კომპოზიციურ ნაწარმოებად გვევლინება. ნატურის ფიზიკურ აგებულებას ჰარმონიულ სიბრტყეებად შლის, ფორმას ძლიერ გააზრებით არღვევს თუ არა, ყველგან მუსიკალობა, ჯანმრთელი სულისმიერობა, ქანდაკებური დამაჯერებლობა და ფორმათა სისასვე-სიმკვრივე საოცრად განსხვავებული გემოვნებითი ქმნილებათა სრულყოფილობაა. პიკასო თავისი მხატვრული რეფორმატორული სივრცობრივი მოგზაურობიდან აბსტრაქტულ-აზროვნებით ნაფიქრალ ფორმათა მიზნობრივი რღვევის მეოხებით, იდეურად მაინც, ყველგან ჯანსაღი რეალისტია. სრულყოფილად სწავლულ ბუნებით ფილოსოფოს-მეცნიერი, მხატვრის ჭეშმარიტ ხელოვნებას კვებავს შინაგან თავისუფალ ფორმათა ძალდაუტანებელი მოდერნისტულ ხაზთა მოხმობა. თითქოსდა მხატვრულ ფორმათა სიახლეებს დღეინადავ ეძებსო, მაგრამ ერთი ნამის შეათვლითაც არ წვალბობს. თემები მკაფიო სხივივით მოედინება და მალამმხატვრული, ყოველმხრივ ახალი სახე-ხაზი და უცნაური არამინიერი ფორმები იხატება.

დიდი მხატვრის შემოქმედებითი დრო სვედით მიდიოდა, თვითონ უკვე წლებმრავლობიდან, თითქოსდა მოულოდნელად, ბერდებოდა, უნიკალური სულით და ენერგიით სავსე ქმნილებანი კი მარად უწყვეტი ახალგაზრდულობით მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში კიაფობდნენ...

საკანძურ სახლ-მუზეუმის მეორე, მესამე და მეოთხე სართულები ასობით ფერწერული ტილო-სურათითაა გადაექსპონირებული, მათ შორის ზოგიერთი სივრცითი გამავალი ვინო, მოვერცხლისფრო დერეფანი კი ზეციურ — უფლის სასიერო ხომ ღმერთი მოღვაწეობდა დედამიწაზე და სიკეთე-სიყვარულით ერთობოდა, ჩვენ ამით ბედნიერადამიანებს კი მშვენიერებითა და შემოქმედებითი დიდებით გვამდიდრებდა. მათ შორის ზოგიერთი ულამაზესი პატარა საექსპოზიციო უთბილესი ოთახი გიქმნის სულისა და გონების შემამკობელ-ალმაცხებელ წმინდანური მყუდროების განწყობილებას, მთის ლალი, სუფთა, ანკარა წყაროსავით გენიით რომ მოლივლივებს ყველგან — ფუნჯით თუ კალმით ყოველ მოსანსში მხატვრის უტყვი ნიჭ-ფანტაზია, თემა და მხატვრული ხაზები, ფორმები თუ ფერები ნებისმიერი კომპოზიციის ცალკე ფრაგმენტი, ცოცხალ ხაზ-ფორმათა ენერგია-დუმალმოდორაობა მხატვრულ სიახლეთა ამქვეყნიური შეუდარებლობაა. თან ქმნილებათა არსებული სიცოცხლე უკვედავი, მარად მოძრავი სულითაა სავსე; ქალაღზე თუ ნებისმიერ მასალაზე მხატვრის გრაფიკული ხაზის გაეღვევა და უხილავი ზეციური ფორმის სახით უდიდესი, ფრიად განსხვავებულ-გემოვნებიანი ნაწარმოები იქმნება. ხოლო პიკასოსეული თვითმყოფადი მალალი ქანდაკებური ნაძენი ქანდაკებები, აქვე რომ ხმინაობენ, მოვლენა-განახლე-



არდავინყენა საკაცოზროიო რივილიზაციის სანყისენისა!

უძველესი ჯიქი მუქალურგისი სიღყემლოშა

„სამყაროში ერთი მიზეზის ახსნა უფრო ძვირად მიღის, ვიდრე სპარსეთის ტახტი.“
დემოკრიტი

ამიერკავკასიაში, უძველესი მეტალურგიის კერების აღმოჩენისა და შესწავლის მხრივ, თითქმის საუკუნის მანძილზე, ქართველი და უცხოელი მეცნიერების მიღწევების შედეგად, დიდად მნიშვნელოვანი შრომები მოგვეპოვება.

თუმცა, მოუხედავად ამისა, კვლავ შესასწავლია არაერთი საინტერესო საკითხი, რომელიც, დღემდე, სათანადო ყურადღების მიღმა რჩება.

აქედან გამომდინარე, ყურადღება მინდა გავამახვილო ერთ-ერთ ასეთ მნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტზე, რომელიც, სიამაყის გრძნობასთან ერთად, დიდ ინტერესსა და გაცოცხლებას იწვევს, კერძოდ: ძველი კოლხეთის მმართველები და კოლხი მეტალურგები, საუკუნეების მანძილზე, როგორ ახერხებდნენ რკინის წარმოების ტექნოლოგიების საიდუმლოების დაცვას? ვიდრე მის ახსნას შეეცადებოდნენ, საერთო წარმოდგენისთვის, კარგი იქნება მოკლე ისტორიული მიმოხილვა და არსებული მდგომარეობის ანალიზი ამ თემასთან დაკავშირებით.

უძველესი და ანტიკური ხანის ეგვიპტური, ხეთური, ბერძნული, ურარტული და სხვა ისტორიული წერილობითი წყაროები მოწმობენ საყოველთაოდ გავრცელებულ აზრს იმის შესახებ, რომ ძველი კოლხური ტომები – ხალიბები, რკინის პირველი მწარმოებლები იყვნენ, ანუ, მადნიდან გამოდნობის წესით, რკინის მიღება დედამიწაზე პირველად ჩაისახა და განვითარდა შავიზღვისპირეთში, – ძველი კოლხეთში.

რაც, თავის მხრივ, კაცობრიობის ცივილიზაციის განვითარების საქმეში, ჩვენი წინაპრების უდიდესი ღვაწლის აღიარებას ნიშნავს. ბუნებრივია, ამ აზრის აღიარებისთვის, საკმარისი ვერ იქნება მხოლოდ ძველი ისტორიული წერილობითი წყაროები. ამიტომაც იყო, რომ ჯერ კიდევ 1950-იანი წლებიდან, ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე, დაიწყო ინტენსიური არქეოლოგიური გათხრები.

1959-2000 წლებში მთელი კოლხეთის ტერიტორიაზე უძველესი კოლხური რკინის სადნობი სახელოსნოების აღმოჩენამ, რომლებიც ყველაზე ძველი კოლხური ძეგლებია და თარიღდებიან ძვ.წ. აღ.-ით XIII-VII საუკუ-



ნებში (*დავით ხახუტაძე. სამტრედიო, ტ. II, ბათ., 2009, გვ. 187*) მდ. ჭოროხის, ჩაქვის წყლის, ჩოლოქის, სუფსა-გუბაზულის, ხობი-ოჩხომურის აუზებში და სხვ./, ნივთიერი მტკიცებულებებით, დადასტურეს ზემოაღნიშნული ისტორიული წერილობითი წყაროებით გაბატონებული აზრი იმის შესახებ, რომ საქართველო რკინის წარმოების ისტორიული სამშობლოა.

ძვ.წ. აღ.-ით XII საუკუნიდან დასავლეთ ამიერკავკასია უკვე წარმოადგენდა რკინა-ფოლადის მწარმოებელ მთავარ რეგიონს (*„გურია, მხარის კვლევა-ძიების შედეგები“, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, თბ. 2001, გვ. 45*), მაშინ, როდესაც ძველი სამყაროს ცივილიზებული ქვეყნებისთვის რკინის წარმოება სრულიად უცხო იყო.

ცივილიზაციის განვითარების გზაზე ასეთი დიდი გარდატეხა არ იყო შემთხვევითი. მას წინ ბრინჯაოს მეტალურგიის მდიდარი გამოცდილება ედო საფუძვლად. საბადოებით მდიდარი ამიერკავკასია იზოლირებული ვერ იქნებოდა მსოფლიო ისტორიული პროცესისაგან. კოლხეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ძველი მელითონელები ჩართული იყვნენ წინააღიურ კულტურების განვითარების ერთიან სისტემაში (*ამირან კახიძე, „უძველესი მეტალურგიის ახლად აღმოჩენილი კერები აჭარაში. საქართველო-უძველესი მეტალურგიის კერა“. ბათუმი, 2019, გვ. 14*).

გვიან ბრინჯაოს ხანაში, კავკასიაში, კერ-

ძოდ, კოლხეთში, ძვ.წ. აღ.-ით II ათასწლეულის მეორე ნახევრის დასაწყისში განსაკუთრებული ცვლილებები მოხდა. მეტალურგიის განვითარების უდიდესი მიღწევა იყო კოლხი მეტალურგების მიერ მადნიდან, გამოდნობის წესით, რკინის მიღება და ათვისება, რამაც რევოლუციური გარდატეხა მოახდინა კაცობრიობის ცივილიზაციის განვითარების საქმეში... წინაპართა ამ უდიდესი ღვაწლის დამადასტურებელი ნივთიერი მტკიცებულებების, ძველი კოლხური რკინის სადნობი სახელოსნოების აღმოჩენების გამო, მას აკადემიკოსმა ნიკო ბერძენიშვილმა აღფრთოვანებით „დიდი საქმის დასაწყისი“ უწოდა.

მეცნიერული შესწავლის მიზნით, რკინის ისტორიული სახელოსნოებიდან მცირე სამუზეუმო ექსპონატების მუზეუმებში გადატანის შემდეგ, თვით სახელოსნო-ლუმელები, ქვის მაგიდა – „საუფსა“¹, კონსერვაციის გარეშე დარჩენილი, ათწლეულების მანძილზე, დავიწყებას მიეცა. შედეგად, ბევრი ასეთი რკინის სადნობი ისტორიული სახელოსნო, მნიშვნელოვანი საკვლევი ძეგლი, რომლითაც იამაყება ნებისმიერი ერი, განადგურდა. სოფლის მეურნეობის დანიშნულებით მათი შემდგომი გამოყენების მიზნით, ეს ტერიტორიები ადგილობრივმა მოსახლეობამ შემოღობა, აითვისა და... უძველეს ქართველთა დიადი ნარსული, კოლხური რკინის მეტალურგიის ისტორია, სამუდამოდ დაკარგვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.

მუზეუმებში დაცულ ათასობით სხვადასხვა სახის ექსპონატების გვერდით რკინის წარ-

მოების ნიმუშები კი დამთვალეირებლებზე იმ შთაბეჭდილებას ვერ ახდენენ, როგორც შეიძლება მოახდინოს უძველესმა, დედამიწაზე ერთ-ერთი პირველი ისტორიული რკინის სადნობი სახელოსნოების ნახვამ.

შედეგად მას არ მოჰყოლია ის ფართო რეზონანსი, ქართველი ერის წინაპართა ღვაწლის საერთაშორისოდ აღიარება და დაფასება, როგორც რკინის წარმოების ისტორიული სამშობლოსი, რაზედაც აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი და, შეიძლება ითქვას, მთლიანად ქართველი ხალხი, იმედს ამყარებდა.

ამ აზრს დამატებით ამტკიცებს ის ფაქტიც, რომ საქართველო, მსოფლიო ხალხთა ატლასზე, ტურისტულ ცნობიერებაში წარმოდგენილია მხოლოდ, როგორც ძველი ქრისტიანული ქვეყანა და ვაზის სამშობლო....

ზემოაღნიშნული მდგომარეობიდან გამომდინარე, თანამოაზრეებთან ერთად, ჩემთვის შესაძლებელი გახდა კოლხეთის სხვადასხვა მხარეს, მდინარეების – ჩაქვის წყლის, ჭოროხისა და ჩოლოქის აუზებში, უფლის ნებით, სასწაულებრივად ჯერ კიდევ უვნებლად შემორჩენილი, თითქმის დაკარგული კოლხური მეტალურგიის ისტორიული კერების მოძიება, ტერიტორიების შემოღობვა, გადარჩენა და დაცვა. მათ შორის ჩაქვის, ჩაისუბნის ისტორიული რკინის სადნობი სახელოსნო, რომელსაც, 2019 წლის ნოემბერში, უძრავი მატერიალური კულტურის ძეგლის სტატუსი მიენიჭა და მასთან ერთად, პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს მუშაობა დანარჩენ ძეგლებზეც.

დღეს ჩვენს წინაშე მდ. ჭოროხის, ჩოლოქის და ჩაქვის წყლის აუზებში დაცული უძველესი კოლხთა რკინის სადნობი სახელოსნოების სახით, ისტორიული წერილობითი წყაროებთან ერთად, საკმარისი ნივთიერი მტკიცებულებები გაგვანჩნია იმისათვის, რომ საქართველო „იუნესკოს“ წინაშე, ვაზის სამშობლოსთან ერთად, წარვადგინოთ, როგორც რკინის წარმოების ისტორიული სამშობლო!

ეს საკითხი შემდგომი, ცალკე მსჯელობის საგანია (ნიაზ ბოლქვაძე, „წინაპართა მემკვიდრეობის გადასარჩენად. საქართველო, ჩაქვი – უძველესი მეტალურგიის სათავეებთან“ თბ., 2020 წ.)...

როგორც აღინიშნა, ამ სტატიით შეეცადები იმ ისტორიული მოვლენების ახსნას, რომელიც ყურადღების მიღმა იყო დარჩენილი, არასწორი წარმოდგენა დამკვიდრდა მასზე და დღემდე პა-



გმირის ფუნქცია აკაკის პოემაში

მე-2 გვირდობან

რების ურთიერთობაზე საუბრობენ, ოღონდ აქ მწყემსი ქალის თვალსაზრისს თვით პირველი მღვდელთმთავარი კათალიკოსი გამოთქვამს. ილიას და აკაკის შეხედულებების ასეთი ურთიერთდამთხვევა მხოლოდ ბუნებრივია, რადგან ორივენი ერთი და იმავე იდეოლოგიის წარმომადგენლები არიან, განდევნილობას უარყოფენ და სიცოცხლეს უმღერებიან. ბუნებრივია, იბადება კითხვა: ხომ არ ეწინააღმდეგება ისტორიულ სინამდვილეს ის ფაქტი, რომ ასეთ პროგრესულ აზრებს თვით კათალიკოსი ქადაგებს? განა შესაძლებელია, რომ ქართული ეკლესიის მეთაური ბერობისა და განდევნილობის ღვაწლებზე იდეას ამქვეყნიური ცხოვრების ყოველდღიურ საჭიროებებზე დაბლა აყენებდეს და ღვთისმსახურ ბერის სისხლისღვრისკენ მოუწოდებდეს? ამ კითხვაზე მართებული პასუხის გასაცემად აუცილებელია გავითვალისწინოთ სასულიერო წოდების სოციალური შემადგენლობა, როგორც საერთოდ ქრისტიანულ ქვეყნებში, ისე ჩვენთან საქართველოში. ცნობილია, რომ ევროპის ძირითად სახელმწიფოებში სასულიერო წოდება, რომელიც ფეოდალური საზოგადოების იდეოლოგიას იცავდა, არსებითად ორი კლასისგან შედგებოდა: უმაღლესი არისტოკრატისა, რომელსაც ეკლესიის მთელი სიმდიდრე ეკუთვნოდა და დაბალი წოდებისგან, რომელსაც ქალაქისა თუ სოფლების ღარიბი მღვდელ-დიაკვნები შეადგენდნენ. ანალოგიური მდგომარეობა იყო საქართველოშიც. დიდმა ქართველმა ისტორიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა და მისმა გამოჩენილმა მოწაფეებმა – სიმონ ჯანაშიამ და ნიკო ბერძენიშვილმა დამაჯერებლად დაასაბუთეს ის აზრი, რომ სასულიერო დიდკაცობას შუასაუკუნეების საქართველოშიც უპირისპირდებოდნენ უბრა-

ლო წარმოშობის პროგრესულად მოაზროვნე, რომლებიც სასულიერო წოდების ღარიბი ნაწილის სულისკვეთებასა და შეხედულებებს გამოხატავდნენ. საკმარისია გავიხსენოთ გიორგი ათონელის, ლეონტი მროველის, იოანე პეტრიწის, არსენ იყალთოელის, ნიკოლოზ გულაბერიძის, გიორგი და ანტონ ჭყონდიდელის და სხვა გამოჩენილი სასულიერო პირთა სახელები, რათა ნათელი გახდეს, რომ შუასაუკუნეების ქართულ ეკლესიაში არისტოკრატისთან ერთად მოღვაწეობდა პროგრესისა და კულტურის მსახურთა მთელი დასი, რომელიც მთავარ მიზნად ადამიანთა ამქვეყნიური ცხოვრების გარდაქმნასა და გაუმჯობესებას ისახავდა. ნათქვამიდან ცხადია,

რომ აკაკი წერეთელს სრული უფლება ჰქონდა მხატვრულ ნაწარმოებში გამოეყენა პროგრესულად მოაზროვნე კათალიკოსი, რომელიც თავისი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს საიქიო ცხოვრების ინტერესებზე მაღლა აყენებდა და სწორედ ამიტომ თორნიკე ერისთავს სკლიაროსის წინააღმდეგ ბრძოლისკენ მოუწოდებდა. ასევე, სრული უფლება ჰქონდა აკაკის „პატარა კახში“ გამოეყენა გლეხთა ჯარის მამაცი მეთაური გიორგი, იგივე გელა ხმალაძე, რომელსაც ომში სამი ვაჭიშვილი მოუკლეს, თვითონაც დაბრმავდა, მაგრამ მაინც თავგამოდებით იბრძოდა სამშობლოს დასაცავად. სწორედ ამ ბრმა მოხუცმა მოამზადა და უაღრესად კრიტიკულ ეპიზოდში

პატარა კახს მიაშველა გლეხთა მთელი ლაშქარი, რომელმაც ომის ბედი ქართველების სასარგებლოდ გადაწყვიტა. ამ ომში პატარა კახმა დიდი გმირობა გამოიჩინა, მაგრამ მონაწილეობის ფარგლებსა და მათი მისიონერული ენეკლე უკვე თავის მოკვლავს ფიქრობდა:

„მაგრამ მოგვსმა შორით გუფუნნი, ხმა „ჰკა მავასა“ და ზედ ყოფინა, მოზღვავედა უცბად სულ გლეს კაცობა, მტრის მიესია და დაუშინა! შეიქმნა ქველის ზუზუნ-ზუზუნნი, თიხის და კეტის გაჩნდა ტრიალი, ამ უცნაურმა სანახაობამ მტრის ნაუხდინა გული და თვალი. დაპყარეს შიშით მათი ფარხმალი, მხოლოდ სიცოცხლეს ევედრებოდნენ და გასაქცევი გზა რომ არ ჰქონდათ, ალაზანშიაც კი ვარდებოდნენ“.

ძნელი შესამჩნევი არაა, რომ პოემაში ამ ეპიზოდის შეტანა დამოუკიდებლად იმისა, მართლა მოხდა ასეთი ამბავი თუ იგი ავტორის გამოგონილია, მონშობს პოეტის მიერ იმ მაღალი აზრის აღიარებას, რომლის მიხედვით ისტორიაში გადამწყვეტ როლს ხალხთა მასები ასრულებდა და რომ სწორედ უბრალო ხალხია ისტორიის შემოქმედი, მისი მთავარი მამოძრავებელი ძალა. აქედან თავისთავად ცხადია, თუ რატომ მიაჩნდა აკაკი წერეთელს ხალხის სამსახური პოეზიის უმაღლესი დანიშნულებად. ხალხი და სამშობლო იყო დიდი პოეტის სიყვარულის მთავარი საზრუნავი და სწორედ მათი ბედნიერებისა და თავისუფლებისთვის უხმობდა იგი გარდასულ დროთა სახელოვან გმირებს.



აკაკის იუბილე. ქუთაისი, 1908 წ.წ. მიხაილოვის ფოტო

სუხს მოვლის.

საკმე ეხება მეტად საინტერესო ისტორიულ ფაქტს: თუ როგორ იყო შესაძლებელი ძველი კოლხეთის მმართველებისთვის, საუკუნეების მანძილზე, რკინის ნარმოების ტექნოლოგიის საიდუმლოდ დაცვა, მაშინ, როცა საქართველოს უკვე მჭიდრო საავსტრო-ეკონომიკური ურთიერთობები ჰქონდა მაშინდელ მსოფლიოს ცივილიზებულ ქვეყნებთან. ამის ერთ-ერთი მაგალითია არგონავტების მოგზაურობა საქართველოში, რომელთა მთავარ მიზანს, უპირველესად, ჩვენი ღრმა რწმენით, სწორედ რომ რკინის ნარმოების საიდუმლოების მოპოვება წარმოადგენდა. ამ აზრის ჭეშმარიტებას უნდა მოწმობდეს ჩვენს წინაშე არსებული ერთ-ერთი ის რეალური ისტორიული ფაქტი, რომ ჩოლოქისა და ჩაქვის რკინის სადნობი სახელოსნოები არგონავტების საქართველოში შემოსვლის დროს (დაახ. ძვ.წ. აღ-ით XIII-XI საუკ.) მოქმედი ობიექტები იყო. ამ დროისათვის, როგორც ძვ. ხეთური და ბერძნული წყაროები მოწმობენ, რკინა ოქროზე 10-ჯერ მეტად ფასობდა (ირინე ტატიშვილი, „ლითონი ხათუ ლექსიკაში, საქართველო უძველესი მეტალურგიული კერა“, ბათ., 2019 წ., გვ. 144).

ოქროს სანმისი კი მატერიალურად მდიდარი კოლხეთის სიმბოლო იყო, რომელმაც იმ დროის შემოქმედებით ნრეებში პოეტური ასახვა ჰპოვა...

დიდი მოაზროვნე, ფილოსოფოსი დემოკრიტე (ძვ.წ. აღ-ით V-IV საუკ.) აღნიშნავდა: „სამყაროში ერთი მიზნის ასხნა უფრო ძვირად მიიღოს, ვიდრე სპარსეთის ტახტი“.

ამით იმის თქმა მიხდება, რომ უძველესი დროიდან, ცივილიზაციის განვითარების გზაზე, ყოველი ახალი აღმოჩენა, რომელსაც სამხედრო და ეკონომიკის განვითარების მხრივ სტრატეგიული თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, მკაცრად იყო გასაიდუმლოებული.

ისტორიული ფაქტები მოწმობენ, რომ კოლხი მეტალურგების მიერ რკინის ნარმოების ტექნოლოგიის საიდუმლოება, მრავალი საუკუნის მანძილზე, მტკიცედ იყო დაცული.

როგორც აღინიშნა, ძვ. წ. აღ-ით XII საუკუნეიდან, დასავლეთ ამიერკავკასია, კერძოდ, კოლხეთი, წარმოადგენდა რკინა-ფოლადის მწარმოებელ მთავარ რეგიონს. მანამდე ქართველ მეტალურგებს, ბრინჯაოს ხანიდან, სხვა ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ათასწლოვანი გამოცდილება ჰქონდათ, სადაც, ბუნებრივად, რკინის ნარმი და თეთი რკინის მასალაც გაჰქონდათ. ზემოაღნიშნულიდან ისმება მთავარი კითხვა: სხვადასხვა ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების, ასევე სხვა მრავალი შემოსევისა და მომხვედრის ფონზე, როგორ ახერხებდნენ ჩვენი წინაპრები რკინის ნარმოების საიდუმლოების დაცვას?

მეტალურგიის სპეციალისტთა შორის გავრცელებულია აზრი იმის შესახებ, რომ ისტორიული რკინის სადნობი სახელოსნოები გასაიდუმლოებული იყო, მაგრამ ჩვენს ხელთ არსებულ წერილობით წყაროებში ამის შესახებ არსად არაა გაკეთებული შესაბამისი განმარტება.

კითხვაზე, – თუ რატომ იყო გასაიდუმლოებული რკინის ნარმოება იმ ტერიტორიებზე, სადაც განთავსებული იყვნენ, მივიღე შემდეგი პასუხი:

„მეტალურგების სანჯავი მასალის ადგილზე მოპოვება და მაგნეტიტური ქვიშის ზღვის სანაპიროდან მოტანა უფრო უადვილდებოდათ, ვიდრე, პირიქით, სანჯავი მასალის შორს გადატანა“.

ასეთი პასუხი, ჩაქვის, ჩაისუბნის ისტორიული სახელოსნოების და მათი შემოგარენი ტერიტორიების დათვალიერებისას, თავიდანვე საეჭვოდ მეჩვენა. თანდათან ვრწმუნდებოდი, რომ მას რეალობასთან არავითარი საერთო არ ჰქონდა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სანჯავი მასალა, რომელიც რკინის ნარმოებისთვის ამ მხარეში გამოიყენებოდა – ნაყისი, შკერის, ნაბლის, რომელიც მაღალ ტემპერატურას (დაახ. 1600 გრადუსზე მეტს) იძლევა, ზემოაღნიშნული მთავარი მდინარეების ზღვის შესართავთანაც ახლოა, მაშინ – მაგნიტიტური ქვიშა, საკმაოდ უხვად იქნებოდა. ამ სანჯავი ხის ჯიშების კვალი, მითითებულ ტერიტორიებზე, დღესაც საკმაოდ კარგად შემჩნევა.

ამდენად, ეს ვერისა, რომელიც დღემდე იყო დამკვიდრებული, თავიდანვე გამოირიცხა, – პასუხი სხვაგან უნდა მეძია.

ცნობილი მწერალი და იურისტი კონან დოილი, იგივე „შერლოქ ჰოლმსი“, ამა თუ იმ საკითხის შესწავლისას, ამბობს: „ჩვენ ყველა ერთნაირად ვხედავთ, სხვადასხვანაირად კი ვამჩნევთ“. მართლაც, მთავარია შემჩნევა.

ამ პრინციპიდან გამომდინარე, ჩაქვის ჩაისუბნის შემდეგ ჩოლოქის და ჩოროხის აუზებში განთავსებული ისტორიული რკინის სადნობი სახელოსნოების მიმდებარე ტერიტორიების დათვალიერებისას, ამასთან, რუკაზე, სადაც

ისტორიული სახელოსნოებია განთავსებული, ყურადღებით დაკვირვების შედეგად, უძველეს კოლხთა რკინის ნარმოების საიდუმლოდ შენახვის სქემა, ჩვენს წინაშე, მთელი თავისი სინამდვილით, გადაიშალა:

რკინის სადნობი სახელოსნოები კოლხეთის ტერიტორიაზე განთავსებული იყო ერთი და იგივე, კარგად გააზრებული, საერთო პრინციპით. მაგალითად, ისტორიული რკინის სადნობი სახელოსნო, რომელიც ითვლება ჩაქვის წყლის აუზის სახელოსნოდ, არ არის განთავსებული მთავარ მდინარეზე – ჩაქვის წყალზე, ჩოლოქის – მდ. ჩოლოქზე. იგივე მდგომარეობაა მდინარეებზე – ჩოროხზე, სუფსაზე, ხობზე და განთავსებულია ზღვის შესართავიდან მთავარი მდინარის გასწვრივ და იგი მთლიანად ჩაფლული იყო ზღვასა და მთებს შორის



არსებულ ხეობებს შორის არსებულ პატარა ხეობებში.

ძველი კოლხებისთვის მთავარი სტრატეგიული ობიექტების, რკინის სადნობი სახელოსნოების ერთი და იგივე პრინციპით განთავსებაზე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი მოწმობს:

უძველეს დროში, კოლხეთის ტერიტორიაზე, საქალაქთაშორისო და საერთაშორისო მთავარი სახმელეთო გზა გადიოდა ზღვისპირას, ასევე ვარკვეულ ადგილებზე იყო საზღვაო ტრანსპორტისთვის მისადგომები – ნავსაყუდები. პარალელურად – მეორე გზა – სამთო ბილიკებით, რომელიც კოლხეთში შემავალ ჩოროხის, ჩაქვის და სხვა მდინარეთა ხეობებს აკავშირებდა ერთმანეთთან. სამივე გზით – საზღვაო, ზღვისპირა და სამთო ბილიკებით მიმავალი მგზავრისთვის რკინის ნარმოების სახელოსნოები უხილავი, დაფარული იყო. როგორც აღინიშნა, იგი მთლიანად ჩაფლულია ზღვასა და მთებს შორის არსებული ხეობების შიგნით – პატარა-პატარა ხეობებში.

უცხო მგზავრი, ვინც გადაკვეთავდა მთავარ მდინარეს ან შეჩერდებოდა ამ მიდამოებში და შეუწყებოდა მთავარ მდინარეს, – ზღვის შესართავიდან მის სათავემდე (ან პირიქით), ვერაფერს შენიშნავდა. მაგრამ თუ ის მდინარის შენაკადებით ხეობის ხილრემებში, გაუვალ ტყეებში გააგრძელებდა გზას, მაშინ ეს მოგზაურობა, უდავოდ, საბედისწერო აღმოჩნდებოდა (შესაძლებელია მთავარ მდინარეზე, მაღალ მთებშიც ყოფილიყო განთავსებული რკინის სადნობი სახელოსნოები, თუმცა მოცილებული დასახლებული პუნქტებისაგან დაფარულად).

სტრატეგიული დანიშნულების ამ უმნიშვნელოვანეს ობიექტებს, სადაც დედამიწაზე ახალი, ბრინჯაოსაგან განსხვავებით მტკიცე რკინა-ფოლადი იქმნებოდა, ბუნებრივად, ექნებოდა უსაფრთხოების სამსახური, რომელიც უზრუნველყოფდა მშვიდ გარემოში მათ მიერ რკინის ნარმოების პროცესს.

ამ აზრის ჭეშმარიტებას ადასტურებს კიდევ ერთი ისტორიული ფაქტი:

ზემოაღნიშნულ საქალაქთაშორისო გზებიდან, ერთ-ერთს, სამთო ბილიკებს, სავაჭრო-სატრანზიტო დანიშნულების გარდა, ასევე სახმელეთო თავდაცვითი ფუნქცია ეკისრებოდა. ჩვენ მიერ აღნიშნული მდინარეების ხეობები, სადაც განთავსებული იყო ისტორიული რკინის სადნობი სახელოსნოები, უძველესი დროიდან საქართველოს შავი ზღვისპირეთის თავდაცვითი სისტემის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მონაკვეთს წარმოადგენდნენ. აქ, ზღვის დონიდან საკმაოდ მაღალ მთის ფერდობებზე (დაახ. 500-800 მ.) განთავსებულ სათვალთვალო-სასიგნალო პუნქტებიდან შესაძლებელი ხდებოდა კოლხეთის ვრცელი ტერიტორიების გაკონტროლება. გუშაგები მათთვის დადგენილი სასიგნალო ნიშნებით (კოცონის დანთება,

მაღელმხოვლელები) მეზობელ ხეობებსა და ადგილობრივ მოსახლეობას ამცნობდნენ მოახლოებული საფრთხის შესახებ.

თავდაცვითი სისტემის ეს ფორმა, რომელსაც, როგორც ჩანს, ვერ კიდევ უძველეს დროში ჩაეყარა საფუძველი, XVIII საუკ. ბოლომდე მოქმედებდა (იური სიხარულიძე, „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა“, 1958 წ. ნიგნი 1, გვ. 91). ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნა: ხეობები, სადაც განთავსებული იყო რკინის სადნობი სახელოსნოები, ეს იყო აკრძალული ზონები, დახურული ხეობები თავისი საფუძვლიანობით, კარგად ორგანიზებული თავდაცვითი სისტემით, სადაც დაუპატიჟებელი „სტუმარი“ სიკვდილით ისჯებოდა, რათა არ გაეტანა საიდუმლო ინფორმაცია რკინის ნარმოების ად-



გილმდებარეობის შესახებ.

მხოლოდ ასე შეეძლო უძველეს ქართველთა წინაპრებს ამ უდიდესი სტრატეგიული დანიშნულების, ახალი აღმოჩენის – მადნიდან გამოდნობის წესით რკინის მიღების საიდუმლოების თითქმის 1000 წლის მანძილზე დაცვა. როგორც ცნობილია, რკინის ათვისების ადრეული ეტაპი საქართველოში აღინიშნება ძვ.წ. აღ-ით XIII-XI საუკუნეებით.

რკინის ნარმოების განვითარებული ეტაპი აღინიშნება ძვ.წ. აღ-ით X-VIII საუკუნეებით.

ძვ.წ. აღ-ით VII-VI საუკუნეებში რკინის ნარმოება მაღალი დონით განვითარდა მთლიანად ამიერკავკასიაში.

ძვ.წ. აღ-ით V-I საუკუნეებში კი შეფასებულა, როგორც რკინის ნარმოების საყოველთაოდ გავრცელების პერიოდი (გივი ინანიშვილი, ნოდარ დოდორაძე. „ამიერკავკასიაში რკინა-ფოლადის უძველესი ნარმოების არქეოლოგიურ-ტექნოლოგიური ასპექტები. საქართველო, უძველესი მეტალურგიის კერა“, ბათ., 2019 წ. გვ. 93).

ისტორიული სინამდვილეა, რომ საქართველოში რკინის ათვისების ადრეული და მისი შემდგომი განვითარების ეტაპები მის საყოველთაოდ გავრცელებამდე უწყვეტად განვლო. ამ ფაქტს, წერილობით წყაროებთან ერთად, ნივთიერი მტკიცებულებებით მოწმობს მდ. ჩოროხის, ჩაქვის წყლის, ჩოლოქის და ხობი-ოჩხამურის აუზში გადაჩრჩენილი (XIII-VII სს) ძველები.

აღნიშნულ ეპოქებში რომ ისტორიული რკინის სადნობი სახელოსნოები დახურული ზონებში მოქმედი რკინის ნარმოების საიდუმლო ობიექტები იყო, ამაზე მაშინდელი ცივილიზებული ერების ცხოვრებისა და მათი

საერთაშორისო ურთიერთობების მოკლე ანალიზიც ნათლად მეტყველებს:

საქართველოში რკინის ნარმოების ადრეული განვითარების პერიოდი ეს არის ეგვიპტის ფარაონების ძლიერების ხანა – ბიბლიური მოციქულების: მოსეს, დავითის, სოლომონ ბრძენის მოღვაწეობის პერიოდი, მეზობელი ურარტუს ძლიერების ეპოქა. მათთვის, ამ პერიოდისთვის, როგორც წერილობით ისტორიული წყაროები მოწმობენ, რკინის ნარმოება უცხო იყო.

ამიტომ რკინა ფუფუნების იშვიათ საგანს წარმოადგენდა. პირველ ხანებში იგი რკინის არა მწარმოებელი ქვეყნებისთვის საიდუმლოდ ნაკეობებისთვის და ფუფუნების საგნებისთვის გამოიყენებოდა. რკინისაგან ამზადდებდნენ სამეფო რეგალიებს, რკინის ნივთებით, რომელიც ოქროზე მეტად ფასობდა, აჯილდოებდნენ გმირებს:

ეგვიპტის ფარაონის ამენჰოტეპ III-ის და ეხნატონის არქივში მოპოვებული წერილობითი წყაროები (ძვ.წ. აღ-ით XV-XIV სს) პირველია, რომელიც მოგვითხრობს კოლხეთში რკინის ნარმოების შესახებ, კერძოდ: კოლხეთის მმართველს ეგვიპტის ფარაონისთვის, მონაქალბებთან ერთად, საჩუქრად რკინის ხანჯლები და ბეჭდები გაუგზავნია;

„რადგან მხოლოდ ყოგი, შაშანის მეფე იყო დარჩენილი რეფაიმთა მოდემიდან... ამა, მისი საწოლი, რკინის საწოლი“... მოგვითხრობს ბიბლია ამის შესახებ (ნიგნი მესხეთე, 3.11).

ბიბლიაში აღწერილი ეს ისტორია მოციქულ მოსეს მოღვაწეობის ხანაა (ძვ.წ. აღ-ით XIII-XII სს). ბიბლიაში მოცემული ისრაელიანების ისტორიის პარალელურად, იგივე ეპოქაში, ჰომეროსის „ილიადაში“, აღწერილი ტროას ომი, ასევე ადასტურებს, რომ ამ დროისათვის ბერძენებისთვისაც უცხოა რკინა. ისინი მთლიანად აღჭურვილი არიან ბრინჯაოსა და სპილენძის იარაღით. მათ აქვთ რკინის ნივთები, მაგალითად, სპორტული ასპარეზობისთვის – რკინის „ბადრო“, მაგრამ იგი გმირ აქილევსს ბრძოლებში გამარჯვებით მოუპოვებია:

„პელიაძმა მოქმეთ შესთავაზა ბადრო რკინისა, მას ნინათ მძლავრი ტვირი ტყორციდა ხოლმე, როცა ის მოკლა აქილევსმა, ფეხმარდმა გმირმა, სხვა საუნჯესთან ერთად ბადროც წამოუღია“, – აღნიშნავს ჰომეროსი („ილიადა“, ქება ოცდამესამე, თბ. 1979, გვ.517).

არა მხოლოდ შორი ქვეყნებისთვის, არამედ საქართველოს უახლოესი მეზობელი ხალხისთვისაც უცხო იყო რკინის ნარმოების საიდუმლოება, რაც კიდევ უფრო ზრდიდა ინტერესს კოლხეთის მიმართ. ისტორია ამის შესახებ მოგვითხრობს, რომ ურარტუს მეფე სარდურ II-ს დაულაშქრავს კოლხეთის ქვეყანა, აულიათ მათი ერთ-ერთი სამეფო ქალაქი და ამ გამარჯვების აღსანიშნავად ქაქური ხელოსნებისთვის უბრძანებია რკინის ბეჭდის დამზადება (დავით ხახუტაიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ.179).

ძვ. წ. აღ-ით VIII საუკუნეში, შავი ზღვის სანაპიროზე, რომელთა საკმაოდ დიდი ნაწილიც კოლხეთის ტერიტორიაზე მოდიოდა, 100-ზე მეტი ბერძნული კოლონია-დასახლება იყო. მათ ჰქონდათ მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ადგილობრივ მოსახლეობასთან, მაგრამ მათთვის, როგორც ჩანს, რკინის ნარმოების ტექნოლოგიის საიდუმლოების მოპოვება, მიუხედავად მრავალსაუკუნოვანი ინტერესისა, რასაც ვერ კიდევ დიდი ხნით ადრე არგონავტების ისტორიაც მოწმობს, შეუძლებელი ხდებოდა, კოლხების მიერ რკინის ნარმოების კერების დახურულ ხეობებში, აკრძალულ ზონებში, ზემოთ აღნიშნული პრინციპით განთავსების შედეგად.

დასასრულს შეიძლება აღინიშნოს შემდეგი: კაცობრიობის განვითარებასთან ერთად, მეცნიერულ მიღწევებს ყოველთვის თან ახლავს სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების აღმოჩენების საიდუმლო დაცვა მისი შემდგომი გამოყენების მიზნით, რომლის არავითარ ფაქტი არსებობს.

ძველი კოლხი მეტალურგების მაგალითზე ჩანს, რომ დედამიწაზე სტრატეგიული დანიშნულების იარაღის საიდუმლო წარმოებისთვის აკრძალული ზონების არსებობის ტრადიციას ერთ-ერთი უძველესი საქართველოში ჩაეყარა საფუძველი, სადაც თავის დროზე, კოლხი მეტალურგები, ვერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში, დახურულ ხეობებში განთავსებული სახელოსნოებში, დედამიწაზე სრულბით ახალ, რკინა-ფოლადის იარაღებს ქმნიდნენ, რამაც, შემდგომ, ცივილიზაციის განვითარების საქმეში, გარდატეხა მოახდინა. იგი ქართული და ზოგადსაკაცობრიო კულტურული მონაპოვარია, რომელსაც სათანადო გაფრთხილება, მოვლა-პატრონობა, აღიარება და დაფასება ჭირდება!

სიაზ პოლქვაძე,
მწერალი,
საერთაშორისო ფილოსოფოსთა
საზოგადოების წევრი

წერილი ქვაბლიანიდან მსხოვრები და მათი გვარ-ტომობა, — სწავლა-განათლება, ჩვეულებანი, — აჭარელი და მესხნი. — გარდმოცემანი

ქვაბლიანის საბოქაულოში (ახალციხის მაზრაში) ოთხი სამამასახლოა: ადიგენის, უდისა, ვარხნისა და ვალისა. ამ ოთხს სამამასახლოში სცხოვრობს 2.200 კომლი. მცხოვრებლები მთლად ქვაბლიანის საბოქაულოსი ქართველის ტომისანი არიან, მხოლოდ ვალის საზოგადოებაში (500 კომლამდე მცხოვრებია) 170 კომლამდე სომეხი-კათოლიკეა და 75 კომ. სომეხ-გრიგორიანნი, რომელნიც გრაფ პასკევიჩის დროს 1929 წელს ოსმალოდგან გადმოსახლდნენ. მანამდის-კი აქეთ სომხის ტომის ქაჭანებაც არ იყო. ქვაბლიანს ეძახიან უფრო ორ სამამასახლოს — ადიგენისას და უდისას. ქვაბლიანს უჭირავს ახალციხის მაზრის დასავლეთი ნაწილი. ადიგენის საზოგადოებაში 650 კომლია და მცხოვრებნი მთლად ქართველ-მამამადაინნი არიან. ამათში თითქმის ყველას ახსოვს, რომ ესენი ქართველთა გვარისანი არიან. თითონვე ამბობენ, — „გურჯიდგანა“ ვართო. ქართული ენა-კი დაჰქინყეზიან და თათრულად ლაპარაკობენ.

მოხუცებულები ამბობენ, რომ ამ 80 წლის წინად ქვაბლიანში სულ ქართულად ლაპარაკობდნენ და ნელ-ნელა დაივიწყეს ქართული. ახლა-კი ადიგენის საზოგადოების დასავლეთ ნაწილში, რომელსაც ზეგანს უწოდებენ, შემდეგ სოფლებში ლაპარაკობენ ქართულად: მოხეში, ჭელაში, ჭქლაში, უტყის უბანში, კეხოვანში, ციხის-უბანში, ღორთუბანში, დერსელში და ლაღში. ადიგენის სამამასახლოში 27 სოფელია და თითო სოფელში 10-40 კომლამდის მცხოვრებია. უდის საზოგადოებაში ნახევარი მცხოვრებლებისა, 300 კომლამდის, ქართველ-კათოლიკენი არიან და სცხოვრობენ სოფ. უდისა და არაღში; ესენი მთლად ქართულად ლაპარაკობენ და ამბობენ, რომ ჩვენ თამარ დედოფლისა და საქართველოს ერთობის დროიდან ვართ კათოლიკენიო. დანარჩენს 15 სოფელში ქართველი მამამადაინნი სცხოვრობენ (უდის სამამასახლოში 17 სოფელია) და ამათ სრულებით დაჰქინყეზიან ქართული ენა.

ყველაზე შესანიშნავი სოფელი ქვაბლიანში უდია. ძველად უდეს „დიდი შეიდანი“ რქმევია; ვახუშტიც თავის გეოგრაფიაში უდეს დიდ მუიდანს უწოდებს; მცხოვრებლების სიტყვით, უდინ უდე ქალაქი ყოფილა. უდემში ამ ჟამად არის ციხე, ორი ეკლესია და ხუთიც ნასაყდრევი. ადიგენის საზოგადოებაში, სოფ. ადიგენში ორ-კლასიანი საეკლესიო სასწავლებელია, სადაც ოცდაოთხამდის ბავშვისა და მაჰმადიანთა სასულიერო კაცთა შვილები სწავლობენ რუსულსა და თათრულს. ზოგიერთ მეჩეთთან სამრევლო სკოლებიც არის, სადაც თათრულსა და არაბულს სწავნიან, თათრები და მესხნი. სოფ. უდისა არსებობს ერთ-კლასიანი საეკლესიო სასწავლებელი, სადაც 70-მდე გლეხთა შვილი კათოლიკენი სწავლობენ რუსულსა და ქართულს. სამხუხარო ის არის მხოლოდ, რომ $\frac{3}{4}$ შევირდებისა მარტის პირ-

ველიდამ თავს ანებებს სკოლას. სხვაგან, საქართველოს სხვა-და-სხვა მხარეს საეკლესიო სწავლებლებში პატარა ქალებიც სწავლობენ; აქ ასე არ არის. აქაური ხალხი ერიდება ამისთანა საქმეს: გოგონებმა „უჩიტელთან“ როგორ შეიძლება ისწავლონ; „უჩიტელი“ რომ ქალი იყოსო, მაშინ შეიძლებაო. კათოლიკეთა პატარა ქალები მოხუცებულ დედაკაცებთან სწავლობენ ქართულს ლოცვებს და შემდეგ შემოკლებულ და ვრცელს საქრისტიანო მოძღვრებას ხელთ-ნაწერ წიგნითა; ამასთანავე სწავლობენ წერასაც. ამისთანა დედაკაცებს ოსტატებს ეძახიან, როცა ეს ოსტატები ხელთ-ნაწერის კითხვას ასწავლიან ყმან-ვილ-ქალებს, მერე ბექდურს დასწყვიტებენ. დაბეჭდილ წიგნთა შორის უფრო აქეთ ხელში რომი გამოცემული საღმრთო წერილის წიგნი. სასყიდელს ოსტატები შევირდებისგან



არას იღებენ, ხოლო როცა შევირდი-ქალები გათხოვდებიან, მეჯვარეები ვალდებულნი არიან „საოსტატო“ გადაიხადონ შეიდას აბა-ზიდამ ორ მანეთამდის ოსტატის სასარგებლოდ. ეს ჩვეულება ძველებურია და უდის, თუ არა ესცდებით, საქართველოში ყველგან იყო გავრცელებული. საინტერესოა აჭარლები აზრი ქვაბლიანში მცხოვრებ ქართველ მამამადაინების შესახებ. აჭარელი აქაურს მამამადაინ მესხს ეძახის, თავის თავს გურჯი-ოლილი, ე.ი. ქართველიშვილი. საზოგადოდ, აჭარლებს აქაური ქართველი მამამადაინები არ მოსწონთ, მესხები ბლაყვები არიანო. ქართველი ქრისტიანნი-კი ძალიან უყვართ. მესხებიც, რასაკვირველია, სამაგიეროს უხდიან აჭარლებს, — „ფხუკანები“ არიან აჭარლებიო. აი ერთმა შეგნებულმა აჭარელმა რა მითხრა: ჩვენა, ბატონო, იმიტომ არ გვიყვარს მესხები, რომ ადრე ჩვენს მხარეს ოსმალის თათრები დაეცნენ და ძალით ხალხს ათათრებდნენო. მაშინ ჩვენ და მესხები ქრისტიანები ვიყავით, ძლიერ ვიბრძოდით სარწმუნოების გულ-სათვის და 16 ათასი არაბი დაგვოცეთ ომში. მესხებმა-კი მიიღეს მამამადაინობა და თავზე სარული (ჩალმა) მოიხვიეს. ჩვენ-კი არც

ტანისამოსი შევიცვალეთ და არც დედა-ენა დავივიწყეთო. ალბათ, ეს არის მიზეზი, რომ ერთხელე დაჩენილა აჭარელთა და მესხების შორის უნდობლობა და თითქმის სიძულვილი.

სხვა-და-სხვა ჩვეულებათა შორის ქვაბლიანში უფრო საყურადღებო ჭიკოკოლაა; საყურადღებოა იმიტით, რომ საქართველოს ხალხმა თითქმის ყველგან იცის ეს ჩვეულება. დიდ ხუთშაბათს მთელი ქვაბლიანელები, ქრისტიანნი თუ მამამადაინნი, ცეცხლს დაანთებენ ისე, რომ მთელი სოფლები გაჩირადნებულა ჭიკოკოლებით; ბავშვები ხტებიან ამ ცეცხლზე და გააქეთ ჟრიაპილი. იმათის აზრით, დიდ ხუთშაბათს ღამეს, რაც კული-ანები არიან, ჯაზის ტბაზე იყრიან თავს და ყველა კულიანნი თავიანთ მთავარს კბილებში ქვეს ესვრიან (ჯაზის ტბა ქვაბლიანის ჩრდილოეთით არის, ერთი მთის ძირში).



მეორე ჩვეულებაა „ჭოჭონაკობა“. დიდ-მარხვის უკანასკნელ კვირაში ქრისტიანნი, მომეტებულ ნაწილად ახალგაზრდა ბიჭები, სოფელ-სოფელ დადიან და-და-დაობით და კვერცხებს ჰკრეფენ სააღდგომოდ. ბიჭებს კვერცხის საკრეფად თოკ-მობმული კალათა აქეთ, რომელსაც ბუხრიდგან ჩაჰკიდებენ ოთახში და ჩასახებენ: „ჭოჭია ნაკი-ნაკი, ბურბუ თახი-თახი; ალათასა ბალათასა, ჩამოვიდა კალათასა; ადვი, ძალი, კვერცხი ჩასდე, ღმერთი მოცემს ბარაქასა“. ეს ჩვეულება ქართლიდან იცინა და „ჭოჭონაზედ“ სთარულს ეძახიან. მთელი ქვაბლიანელი მამამადაინნი, ქრისტიანებთან ერთად, წითელ პარასკევს ნითლად ჰღებავენ კვერცხებს.

არა მგონია, მთელს საქართველოში იმდენი ძველი ციხე-საყდრევი იყოს, რამდენიც ქვაბლიანშია და საზოგადოდ ახალციხის მაზრაში. ყველაზედ შესანიშნავია ზარზმისა და ჭულუ-ბის ეკლესია. აი ზარზმის ეკლესიის აშენების შესახებ რა გარდმოცემა არის ხალხში დაშთენილი: ზარზმიდგან 15 ვერსის მანძილზედ ქვის სატეხია, რომელიც შავი-წვრილის მთასთან მდებარეობს; ამ ქვის სატეხთან მდგარა შევირდი და ზარზმაში — ოსტატი; ზარზმიდ-

გან ქვის სატეხამდე ხალხი მდგარა მწკრივად და ერთმანეთისათვის ქვა უწოდებიათ. როცა ეკლესია დამთავრებულა, შევირდს უთქვამს, ეს ერთი ქვაც დასჭირდება; მართლაც, ერთი ქვაც სამრევლოს დამთავრებას დაჰკლებია. ოსტატს შეჰშურებია შევირდის შორს გამჭვრეტელობა, დაუბარებია შევირდი და უთქვამს, ეგ ერთი ქვა სამრევლოზე შენ დასდეთო. შევირდს შეუსრულებია ოსტატის ბრძანება. როცა შევირდი სამრევლოზედ ყოფილა, ქვეიდაც კიბე გამოუცლიათ და შევირდი ზედ დარჩენილა. მაშინ უთქვამს შევირდს, ოლონდ ორი ფიცარი და ხელეო მომანოდე და თქვენი სხვა არაფერი მინდაო. შევირდის თხოვნაც შეუსრულებიათ. შევირდს გაუკეთებია ფრთები, ჩამოფრენილა სამრევლოდგან და ჭულუბის ეკლესია აუგია.

ქართველ-მამამადაინნი ყველა ძველს შენობას: ეკლესიებს, ციხეებს, კოშკებს, ხიდებს თამარ მეფეს აწერენ, მისი აშენებულაო, და ბევრი ლეგენდარული გარდმოცემაც იცინა თამარ მეფის შესახებ. აი, სხვათა შორის, ერთი ამისთანა ლეგენდა: თამარ მეფე პატარაობისასვე ძლიერ გულ-კეთილი ყოფილა. ერთხელ მიუყვანია მასთან ფეხმოტეხილი ლაკაკი. თამარ მეფეს თავის ხელით შეუხვებია მოტეხილი ფეხი ფრინველისთვის და, როცა მოურჩენია, თავისუფლება მიუცია და გაუფრენია. სწორედ წლის თავზედ ის ფეხმოტეხილი ლაკაკი მოფრენილა პირ-დაპირ თამარ მეფის სასახლესთან და თან მოუტანია პატარა პარკი, სავესე ძვირფასის თვალ-მარგალიტით. თამარს ეს თვალ-მარგალიტი ფულად უქცევია, გაუმრავლებია ჯარი და ყიზილბაშებისათვის ომი გამოუცხადებია. ომში ყიზილბაშები სამონღად დაუმარცხებია შაბანანბეგლის მთაზე და იმათის თავებით მთის წვერი შემოუსირავებია. იმ მთას დარქმევია „ქალათაფა“. შაბანანბეგის მთები ახალციხიდან სამხრეთად მდებარეობს 12-14 ვერსის მანძილზედ. აი ამ მთებში ერთს დღესაც ჰქვია ქალათაფა.

ასევე საინტერესოა ზოგიერთ ქართველ-მამამადაინთა თქმულება საქართველოს სივრცეზედ: მთელ საქართველოში უდინ 10 საფაშალიყო (საერისთავო) იყო. საქართველო გაჭიმული იყო შავი ზღვიდან თეთრ ზღვამდე. ამ ქვეყანაში ირიცხებოდა 50 ქალაქი. ყველაზედ დიდ ქალაქად ახალციხე და ტფილისი ითვლებოდა. თამარ მეფეს საშუადამო ბინა ახალციხეში ჰქონიაო. ეს თქმულება გავიკონე 78 წლის მოხუცის ჰუსეინ ადოლაშვილისაგან ქვაბლიანში.

აქაური ქართველ-მამამადაინნი საზოგადოდ წარმოსადგენი, ზრდილი, დინჯად მოლაპარაკენი, პურადნი და გულადნი არიან.

ი. ბარკალა-ი
გაზეთი „ივერია“. 1894 წ. N7

წერილი ახალციხიდან

მარიამობა დღეს, 15 აგვისტოს, ჩვეულებრივი დღესასწაული იყო შესანიშნავი და უძველესი ხნის საფარის მონასტრისა, რომელიც, როგორც ვუწყით, აშენებულია მეთორმეტე საუკუნეში და ჯერ კიდევ იმდენად მაგარია, რომ რამდენიმე საუკუნეს გაისტუმრებს. წელს, როგორც უნინ, საფარას დიდძალი მლოცველი ხალხი იყო შეკრებული ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებიდან, რადგან წმინდა ადგილს გავლილ შფოთიან საუკუნეებში დიდი რწმენა და თაყვანისცემა აქვს მოჰპოვებული ხალხში. წინა წლებთან შედარებით, წელს მნახველი კარგა ცვლილებას შეამჩნევდა საფარის მონასტერს. დავიწყეთ იქიდან, რომ საფარის იდუმალი და მყუდროება დარღვეულია; მის გარშემო, გალავნის შიგნით, გაუშენებიათ რამდენიმე ყაზარმისებური შენობა, რომლებშიაც სცხოვრობენ ასამდე რუსი ბერი და მორჩილი. სადგომ ბინამდე გადაუკეთებიათ გალავნის გარშემო, განკერძობით აგებული პატარა ეკლესიები (მაგ. საფარის შესავალში, მარცხნივ). დღისმშობლის უმთავრეს ეკლესიის გუმბათს, სამრევლოს და ზოგიერთ ძველებურ ქვის ჩარდახს ჰხურვენ თუნუქით და აგრეთვე გუმბათის უწინდელ მოგრძო სახეს მორგებულ სახისას აკეთებენ. ჩვენ ვერ მივხვდით, რამ გამოიწვია თუნუქის გადაკვერა ქვის ჩარდახებზედ. როგორც ვიცი, წყალი არსად ჩამოდოდა და აქა-იქა ზოგან მორღვეული ქვები ოდნავ შეკეთებას თხოულობდა. თუ იმ მოსაზრებით ხელმძღვანელობდნენ, რომ თუნუქის ჩარდახი უფრო კედლებს არ დაამძიმებსო, — მაშინ რატომ ქვის ჩარდახი აღარ აჰყარეს.

ვეღარა მწახავთ აგრეთვე საფარაში შესანიშნავ ხელოვნებით ქვისაგან გაკეთებულს კანკელს, უმთავრესს და უძვირფასესს სამკაულს საფარისას. როგორც დანამდვილებით შევიტყეეთ, ეს კანკელი ყუთებით გაუზაფხვინათ მოსკოვში არქეოლოგიურ საზოგადოებისთვის (ზოგიერთის სიტყვით მუზეუმისთვის). ეს საზოგადოება პატივ სადებ და სასარგებლო დანებსებულად მიგაჩნია, მაგრამ ძველი ნაშთის გამოკვლევა-შესწავლისთვის ხალხის სათაყვანო

ეკლესიიდან ნივთების წაღება არ არის კარგი. წლებში იმამი გამოიხატება, რომ წინა წლებში თუ აქ მყოფი ბერ მორჩილო, დღე-ღამე მოსვენება არა ჰქონდა, რომ შესაფერი დახმარება აღმოეჩინათ მოსულ მლოცველათვის, — ეშოვათ მათთვის, ან გაეკეთებინათ დროებითი თავშესაფარი — სადგომი ბინა, — წელს უკვე აშენებულ ბინებიდგან და გალავნიდგან მორჩილი გალავანს გარეთ ერეკებოდნენ მლოცველები, — სხვებს მოეკლეთ, ბინები სხვისთვის გვინდაო და თქვენთვის ადგილი აღარ რჩებო. ამ ამბავმა, როგორც მოსალოდნელი იყო, მორჩილთა და მოსულ ხალხს შორის უთანხმოება გამოიწვია და პოლიციამ გააზავა ისინი. წლებში დღეს ნივთების წასვლი და დაზარალება ხოლმე ქართველს ენაზედ, წელს-კი შესრულებულ იქმნა რუსულად, მლოცველთა უმეტესობას შეადგენდა ახლო მახლო სოფლებიდან მოსული გლეხობა, რომელსაც რუსული არ ესმის, ამას

გარდა, არც მარიამობის წინა ღამეს და არც შემდეგ გალავანს შიგნით ლინთ-თამაშობის ნება არ მისცეს; ეუბნებოდნენ, ახლო მდებარე ტყეებში გადით და იქ ილიხინეთო. რაც შეეხება ნირვა-ლოცვის არა ქართულს ენაზედ შესრულებას, ამაში, უეჭველია, დამნაშავენი არიან გარშემო მდებარე სოფლებში მყოფი მღვდლები, რომელთაც დაიზარეს და მდაბიო ხალხს არ აღიარეს ლოცვა სამშობლო ენაზედ. საზოგადოდ კი ვიტყვი, რომ ყველა ზემო აღნიშნულ გარემოებებში დამნაშავეა ახალციხის ეგრედ წოდებული ინტელიგენცია რომელსაც ნურასოდეს ნუ მოსთხოვთ მოქმედებას საზოგადო საქმეში. აბა, მოძმის ფეხის გამოდგმას, უშვერჭორიკანობას და ერთმანეთის გაუტანლობაში გაიშართოს ჯიბრი, თუ პირველი ჯილდო ახალციხელებს არ ერგათ.

ბ.ახალციხელი,
გაზეთი „ივერია“, 1899 წელი, N185.
საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

გვიპოვებთ

გაზაფხული მოჰყავს მერცხალს

ცელქი სიო ბუჩქებს არწევს, ამღერება უნდა ლერწამს, გაუძლია ფრთები არწივს, გაზაფხული მოჰყავს მერცხალს... ნინათ, ამ დროს, ცაში ვფრენდი, სიხარულის ფრთები მესხა.

ახლა სვავი დაჰვაშვავებ, სამაჩაბლოს ობოლ ველებს... ოხრავს ამღერეული ქსანი და მთის ვარამს მოახველებს, სისხლის მსმელი ბარბაროსი ველარ მალავს ცოდვილ ხელებს...

საქართველოვ, ჩემო მხარევ, მტერი გარბევს, გასამარებს, დუშმანი, გულმატლიანი, დასამობად დაგტრიალებს. იწერება სისხლით ჩვენი უახლესი მატრიანი...

... ცელქი სიო ბუჩქებს არწევს, ნანას უმღერს წყარო ძენას... დათბა... ზამთრის ყინვა-თოში ტყეებს ველარ გადავერცხლავს, გაუძვია ფრთები არწივს, გაზაფხული მოჰყავს მერცხალს.

გაჩენის დღიდან ვწვალობთ და ვწვალობთ, უფალი ღმერთი გვწყალობს და გვწყალობს... გალენიალია ჩვენს თავზე კალო, მენ რაღას მიჩრევე, თორთუმის წყალო.

შენ რაღას მეტყვი შავშეთის მთებო, შორს დაკარგული დებო და ძმებო, დავითის ძვლებო, ვახტანგის ძვლებო, მდინარეებო, ყანებო, ზერებო...


შენ რაღას მეტყვი რუსთველის წიგნო, - ქართველი კაცის ზნეობავ, ფიქრო... ოშკო, მატბერდო და ტაოსკარო, ჩემო რიონო და ჩემო მტკვარო.

მამულიშვილნო, მომავლის გმირნო, მტრის კლანჭებიდან ერთობა გვიხსნის. რუსთველის სისხლო, თამარის სისხლო - მწვერვალო, ჩვენი ქართული სისხლის.

თბილისი ქალაქს

გადავხედავ თბილისი ქალაქს, მთაწმინდას და ნარყვალას, შენს „ცა-ფირუზს“ ქმნიდა ღმერთი და მას ხატავდა ნიკალა.

მინდა, შენი ყვავილების სურნელება გულზე მეხას...



ნახ. ჯოვანი ვეფხვიძისა

გორგასალის ნატერფალო, შენი ერთი მეხოტბე ვარ, ვლოცავ მე შენს მზეს და მთვარეს, ვაზის რტოს და ყურძნის მტევანს.

ვლოცავ მე შენს წმინდა მინას, არაგველთა სისხლით ნაზანს, დავითის ხმალს, ვახტანგის ხმალს და ერეკლეს გმირ ნინაპარს.

ვენაცვალე თბილისი ქალაქს, თბილელ ქალის მკერდს და დალაღს, ყველა გამგულელს და გამომგულელს, ვინც სიყვარულს გულში მალავს.

მე შენს კალთას შევაბერდი, სიყვარულში ვცვითავ კალამს, შენს „ცა-ფირუზს“ ქმნიდა ღმერთი და მას ხატავდა ნიკალა.

წიფლის ტყეში ქორი წივის, წყარო მოხტის, მონანკარებს, ტანწერნეტა წეროსწვივა ცის ნამს უღებს გულის კარებს.

მაყელის ბუჩქში შაში გალობს, ტკბილად უსტვენს შავი შაში... გაღმა - ქალი მარგალავს ახოს, უფრიალებს კაბა ქარში.

ჯავარიან ნაძვს და ჩინარს აუნვართავს მალღა ტანი და დგას სოჭი, გზის ნაპირას, როგორც ტურფა დედოფალი.

გარს ეხვევა დიდრონ ხეებს სიყვარულით უსურვავი და სიცოცხლის საგალობლად ბულბულის ხმა ისმის ნაზი...

მთაც შენია, ბარიც შენი, ეს მინდორიც სამყვარალო - იდიდგულე ამ მინაზე, ქართველ ხალხის მონაგარო!!!

ვითხოვ სიტყვას!



ოვიდიუსი
მტიკინულად თანამედროვე ოვიდიუსი ჩემი ცოდვა ისაა, რომ მქონდა თვალები.

ავგუსტუსის მმართველობის პერიოდი, ე.წ. ოქროს ხანა, რომელიც ლიტერატურისა და ხელოვნების აყვავების ხანა იყო. ამ დროს მოღვაწეობდნენ ვერგილიუსი (ძვ. წ. აღ-ით 70 - ახ. წ. აღ-ით 19), ჰორაციუსი (ძვ. წ. აღ-ით 65 - ახ. წ. აღ-ით 8), ოვიდიუსი (ძვ. წ. აღ-ით 43 - ახ. წ. აღ-ით 17). სწორედ მათ შექმნეს რომაული პოეზიის კორიფთა კოლეგიუმი, რომელმაც შემდეგ დიდი როლი ითამაშა ევროპული ლიტერატურის ისტორიაში.

იმხანადვე მოღვაწეობდა გაიუს ცილნიუს მეცენატი (ძვ. წ. აღ-ით 74 - 64 წლებს შორის - ძვ. წ. აღ-ით - მე-8 წ.), იმპერატორ ავგუსტუსის მეგობარი და დაახლოებული პირი. მეცენატი ისტორიაში შევიდა, როგორც მეცნიერებისა და ხელოვნების მფარველი და ქომეგი. იგი მეგობრობდა ჰორაციუსთან და ვერგილიუსთან, რომელმაც მეცენატის შეგონებით დაწერა პოემა „ენეიდა“.

ვერგილიუსის მეორე, დიდაქტიკურ პოემაში „გეორგიკები“ მთავარი ადგილი უჭირავს ავგუსტუსისა და რომის სახელმწიფოს ხობტას... მეცენატმა ჰორაციუსიც დაიახლოვა და ოქტავიანუს კარის მგისნად აქცია.

ოვიდიუსი ეკუთვნოდა მხედართა ფენას. განათლება მიუღია რომმა და ათენში, სახელმწიფო სამსახურისთვის ადრევე დაუნიბებია თავი და მხოლოდ ლიტერატურულ სფეროში უმოღვანა. მისი შემოქმედების პირველ პერიოდში ეროტიკული თემატიკა სჭარბობდა. ამ დროს შეუთხზავს ვინმე კორინთსადმი მიძღვნილი სამწიგნოანი „სატრფალო ელეგიები“, „სიყვარულის ხელოვნება“, „სიყვარულის ნამალი“ და სხვ... ოვიდიუსის შემოქმედების მეორე პერიოდს განეკუთვნება ანტიკური მწერლობის შესანიშნავი ძეგლი, 15-წიგნოანი პოემა „მეტამორფოზები“ და მეორე, ოდონდ დაუთმავრებული პოემა „ფასტები“.

ძვ. წ. აღ-ით 8 წელს იმპერატორმა ავგუსტუსმა ოცდათხუთმეტი წლის ოვიდიუსი რომიდან გააძევა და მიყრუებულ ტომისში (რუმინეთის დღევანდელი ქალაქ კონსტანცის მახლობლად) გადაასახლა.

შორეულ მარტობაშია დაწერილი პოეტის „სეველიანი ელეგიები“... „წერილები პონტოდან“.

ოვიდიუსის მეგობრები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, ავგუსტუსისთვის შერისხული პოეტი როგორმე შეებრალეზინათ და ისევ რომში დაებრუნებინა, მაგრამ ვერ შეძლეს გაკერპებული იმპერატორის გულის მოღობა... ახალი სტილით 14 წელს ოქტავიანე 77 წლისა გარდაიცვალა. ისევ დატრიალდნენ გაძევებულ პოეტის გულშემატკივრები, თვით მზეგადახრილი ოვიდიუსის სულშიც გაკრთა იმედის ნაპერკალი - იქნებ ახლა მინც ეხილა თავისი საახლობლო და ჯავდოსწერი რომში! მაგრამ ამაოდ - სენატს და მთელ ზედაფენასაც პოეტის ხსენებაც კი არ უნდოდა!

ასე და ამრიგად, ყოველმხრივ იმედგაქლულმა პოეტმა გაძევებაში სრული 25 წელი გაატარა და იმპერატორის სიკვდილიდან 3 წლის შემდეგ, 17 წელს, მარტობაში 60 წლისა დაღლია ტანჯული სული.

გულმოდგინე მკითხველი აქ კი იმედგაცრუებით შეჩერდება - ავტორი, აბა, ახალს რას გვეუბნება და, საერთოდ, რისთვის დაუნყია ამის ჯღაბნაო!

ამგვარ საყვედურებს უსიტყვოდ დაუყაბულდები და ბილიკომფრილის პირდაპირობით განვაცხადებ: ამ წერილის დაწერა აზრადაც არ მომივიდოდა, რომ არა ქართული ენციკლოპედიის სტატიის „ოვიდიუსი“ ოთხსიტყვიანი სტრიქონი, რომელმაც ჩემს მწერლურ წარმოდგენაში ვულკანისებური ამოფრქვევა გამოიწვია: იქ, სადაც ლაპარაკია იმპერატორის მიერ პოეტის შერისხვასა და რომიდან მის გაძევებაზე, აი, ზედმიყოლებითვე რა მოსდევს.

„ოვიდიუსის დასჯის მიზეზი უცნობია“. მკითხველებს ვაფრთხილებ: აქედან მხოლოდ საკუთარ მოსაზრებებზე დაყრდნობით მექნება მსჯელობა და ქვეყნის დასაცინიც რომ გავხდებ, ამასაც წინდაწინვე ვარ შეგუებული!

მამ, დავიწყოთ! დღეს როგორღა შეიძლება ითქვას - ოვიდიუსის დასჯის მიზეზი უცნობიაო, როცა პოეტმა თავის გახმაურებულ პოემაში „ტრფობანი“ ავტორის თქმა გაბედა: ნამდვილი ხეპრე ხარ, თუ შეიმჩნევ მეუღლის ღალატს, ვერ გასცნობიხარ კარგად ჩვენი ქალაქის წესებს!

საბედისწეროდ, თავგადადებულმა პოეტმა ძღვეამოსილი რომის იმპერიის მარადიულ დედაქალაქს თანამედროვეთა და მომავალი თაობების თვალში ჩამოურეცხავი ჩირქი მოსცხო - ხელის ერთი მოსმით საღალატო რქების გაუვალი ტვერი დაადგა და ეჭვქვეშ დააყენა ყველა ფენისა და თითოეული ოჯახის ცოლქმრული სინძინე, ნღობა, ერთგულება!!!

ამას კი ვინ აპატიებდა?! ანდა, როდის იყო, შემოქმედს დესპოტიზმა თუ რეჟიმის წინააღმდეგ თუგინდ გადამრუნებულ სიტყვას პატიობდნენ! ისტორიის ანალებში აქა-იქ ელვისებური თვალწაკრავც კმარა, გუნება რომ დაგვენისლოს: კარის მეხოტბე და სპარსულ-ტაჯიკური პოეზიის მამამთავარი რუდაქი (დაახლ. 860-941) რალაც უმნიშვნელო გადაცდომისთვის ემირის ბრძანებით დაუბრძავებიათ და ისევ თავის მშობლიურ სოფელში გაუქვევებიათ... მე-17 საუკუნის ქართველი პოეტის, სამეფო კარის მდივან-მწიგნობარ ფეშანგი ფაშვიბერტყაძისთვის (ხითარბეილი) ქართლის მეფე ვახტანგ V-ის კარზე ცხვრი მოუჭრიათ!...

გაიხსენეთ პუშკინი... ლერმონტოვი... პაოლო იაშვილი... მიხეილ ჯავახიშვილი... ტიციანი... ევგენი მიქელაძე... სანდრო ახმეტელი... გარსია ლორკა... ან რა ჩამოთვლის ფაშისტური, კომუნისტური და სამხრეთ-ამერიკული რეჟიმების მიერ დევნილ, გატანჯულ თუ გამუსრულ მწერლებს, ხელოვნებს, მეცნიერებს!... ნათქვამია, ერთი ცხვრისკენ და ერთი ც მგლისკენ! ავგუსტუსი, რომელსაც, ალბათ, ოვიდიუსზე არანაკლებ ეცოდინებოდა რომელი მანდილოსნების ზნე-წივი, მეტადრე კი მატრონების საყოველთაოდ ცნობილი თავაშ-



ავგუსტუსი

ვებულობა (ლეგენდის მიხედვით, იმპერატორ მარკუს ავრელიუსის (121-180) 13 შვილიდან რამდენიმე მათგანს ძარღვებში თურმე სხვადასხვა გლადიატორის სისხლი უჩქეფდა, იმპერატორმა კი ეს იცოდაო!), მამაკაცურად პოეტს იქნებ თანაურძნობდა კიდევ, მაგრამ, როგორც იმპერატორს, ოვიდიუსმა არჩევანი აღარ დაუტოვა!

არ ვიცი, ამას მკითხველები როგორ მიიღებენ, მაგრამ აქ ასეთი ფრთხილი ვარაუდიც კი შეუძლება: რომიდან შორეულ შავი ზღვისპირეთში პოეტის გადაკარგვა იქნებ მისი სიცოცხლის შენიბული გადარჩენა იყო, ამგვარი შეურაცხმყოფელი სტრიქონებით აღელვებულ ნებისმიერი ფენის მამაკაცს „ცილისმწამებელი“ ოვიდიუსი პირდაპირ ქუჩაში რომ არ აეჩხა!...

არ ვაზვიადებ მსურველმა ბევრი რომ არ იწვალოს, თუგინდ 2010 წელს „ლოგოსის“ გამოცემული, ქნ იამზე გაგუსს მიერ გამართული ერთი ნათარგმნი ციკერონის (ძვ. წ. 106 - ახ. წ. 43) „სიტყვები და დიალოგებიდან“ მარტო კატილინას (ძვ. წ. 108 - ახ. წ. 62) წინააღმდეგ მიმართული ოთხი სიტყვა ნაიკითხოს და ნათელი გახდება - ძველ რომში რანაირი თავანყვეტილობა და ქუჩური ხოცვა-ჟლეტა ითვლებოდა ჩვეულებრივ მოვლენად!...

ერთი სიტყვით, ოვიდიუსის რომიდან გაქაფავა მარტო იმპერატორის პირადი გადაწყვეტილება კი არა, პატრიციების ნება-სურვილის დაკმაყოფილებაც რომ იყო, აი, ეს საიდან იკვეთება: შერისხული პოეტი სენატმა ავგუსტუსის სიკვდილის შემდეგაც კი არ შეინყალა და შორეულ უცხო მხარეში ჩაკლა!!!

გამთავრებ ამ პატარა წერილს და ვგრძნობ, სტრიქონებს შორის გველგესლავით როგორ მოიკლავნება მაცდური აზრი, რომელსაც ვეღარ გავმკლავებოვარ: დღევანდელ მსოფლიოში ნეტავ სადმე თუ მოიძებნება ისეთი ქალაქი, რომლის მაცხოვრებლებიც ღმერთის წინაშე გულზე ხელდადებით დაიფიცებდნენ - დიდი რომელი პოეტი ეს სტრიქონები ჩვენს ქალაქს არ ეხებო!...

ჩემი მზრიდან სამარისებური პაუზა!... O, tempora, o, mares!1

ჯემალ მისრიძვილი

1. O, tempora, o, mares! (ლათ.) - ო, დრონი, ო, ჩვეულებანი! (ციცერონი).

სამნი არიან მიზეზნი ვნებთანი, რომელთაგან იშვებინან უოველნი ბოროტნი: გემოთ-მოყუარებანი, ვერცხლისმოყუარება და დიდების-მოყუარება; ამათნი ჳირშონი არიან: სიძვანი, მრუშებანი, რისხვა, მწყინარობა, ამჯარტყენება“. ამათ ბოროტთაგან გამოვლენ ვორცთმოყუარებანი, თუწსოდ ნებისა მიდევნებანი, რომლისა თუთოუთლად არა არს უამი აღწერად, ვითარცა წინასწარმეტყუელიცა იტყუს: ჭამა იაკობ, განბლა, განსხნა, განსუქნა, და დატყევა ღმერთი შემოქმედი თუსი, და განუდგა ღმერთსა მაცხოვარსა თუსსა“.

XII-XIII საუკუნეების უცნობი უამთააღმწერელი



ს.პალე. 1970-იანი წლები. ნახ. რეზო ხითარაიშვილისა

უიუს ზანოსვა

არშინა, მარშინა, გულო, რამ შეგაშინა. გულო, ნუ გეშინია, სულო, ნუ გეშინია, ჯანო, ნუ გეშინია. ველოსამედ წაველ, ზღვაში გავცურდი, იქიდან ამოვედი, გამოვცურდი ზღვაში, მე არ მეშინია, გულო, შენ რამ შეგაშინა. დაბრძანდი გულო, დაბრძანდი სული, დედა მარიამ ოქროს ტახტზე დაბრძანდი. გულო, მოდი გულთანა, სულო, მოდი სულთანა, ფერო, მოდი ფერთანა, ჯანო, მოდი ჯანთანა, ძილო, მოდი თვალთანა, ისე გარგოს ჩემმა ლოცვამ, როგორც ცულსა ხემ ტარადა. გულო, ნუ გეშინია: ორშაბათ შეგეშინდა, სამშაბათ შეგეშინდა, ოთხშაბათ შეგეშინდა, ხუთშაბათ შეგეშინდა, პარასკევს შეგეშინდა, შაბათს შეგეშინდა, კვირას შეგეშინდა; ორფხამ შეგაშინა, ოთხფხამ შეგაშინა, გულო, ნუ გეშინია.

მთქმელი **ლარიჰან ზაბდინიძე**, 86 წლის, სოფ. ჭობარეთი, ჩაინერა მანია ივანიძემ 2011 წელს.

ფიციკლი

ოქმულეზა შოთას შთამომავლობაზე

მე-15 საუკუნის საქართველოსათვის ძნელბედობისა და გლოვის ხანა იყო. თურქთა ორმოცდაათიათასიანი ლაშქარი, რომელსაც სათავეში სულთნის ძმა, ცნობილი სარდალი ომარ-ხანი ედგა და სამცხეში ცეცხლს აფრქვედა. თათრებს ქართველები სიმდიდრით მოსწონდათ, რის გამოც სურდათ, შეენარჩუნებინათ ის ნოყიერი და მაღლიანი მიწა. დამპყრობლები ათასობით დატყვევებულ კაცებს, ქალებსა და ბავშვებს მიერეკებოდნენ უცხოეთის ბაზრებზე გასაყიდად. ომარ

ხანი მტკვრის დაყოლებით მიემართებოდა ახალციხისაკენ. ასპინძის ციხესიმაგრის აღების შემდეგ, გადანყვიტა, ციხეს გასცლოდა და კარავი პატარა ქალაქთან დაეგდა. შეღამებისას მთავარსარდალი კარავიდან გამოვიდა და თვალი გარემოს მიმოავლო. ყურადღება ერთმა ახოვანმა და მხარბეჭიანმა, კარგად ჩაცმულმა ქართველმა მიიპყრო, რომელსაც თურქები ორივე მხრიდან ჩამოჰკიდებოდნენ და ძლიერად იჭრებოდათ მიათრევდნენ. მთავარსარდალი და ტყვე ტაძარში შევიდნენ.

ტაძარში შესვლისთანავე ომარ-ხანის ყურადღება ლამაზი მამაკაცის ფრესკამ მიიპყრო. — „ვინ არის ეს!“ — იკითხა მთავარსარდალმა. ესაა ჩემი წინაპარი. დიდი თამარის მგოსანი შოთა რუსთაველი. ეს მისი ძეა — ჩემი პაპის მამაა, ეს ჩემი პაპაა, ეს მამაა ჩემი, ხოლო ეს, მე და ჩემი ჯალაბა ვართ. ჩემი ვაჟი ახლა ქართლის მეფის კარზეა. — რა გვარის ხარ, ვაჟო? — ჰკითხა ეჭვიანმა სარდალმა. — ჩვენ შოთა რუსთაველის შთამომავლები, ახლა

შოთასძეს ვატარებთ გვარად, მე კი ავთანდილი, შოთას ძე ვახტანგ, ნამდვილი მესხი. ჩემი წინაპრები თითქმის ყველა პოეტი და მწიგნობარი იყო... ბოლოს ავთანდილმა მოკლა თურქთა სარდალი და თვითონაც დაიღუპა. დანგრეული და დაწვეს თურქმა ბარბაროსებმა გენიალური ქართველი პოეტის და ფილოსოფოსის რუსთაველის მშობლიური ქალაქი და მისი საგვარეულო ეკლესია — რუსთავის სამების ტაძარი. ამ ტაძართან ერთად საზღვაოდ დაიღუპა შოთა რუსთაველის ერთ-ერთი შესანიშნავი ფრესკა.

შოთას წყარო

მე-12 საუკუნეში დაბა რუისში დიდი მამულისა და ღვთაებრივი ტაძრის მფლობელნი მროველნი, რომელნიც ქართლის სამეფო დიდებულთაგან ოჯახმრავლობითა და ჭკუაგამჭრიანობით გამოირჩეოდნენ, გაიყარნენ, — თუ რუისის მამული ერთ ძმას ერგო, ხეობის მამულის მფლობელი გახდა მეორე ძმა. მესამე კი, რომელსაც სახელად დოლინჯი ერქვა, ქვაბისხევის მიწა-წყლის კუთვნილებას დასჯერდა. დოლინჯი მროველის მეუღლე ავალიშვილთა გვარიდან იყო, სახელად ია. ჰყავდათ ერთი შვილი შოთა. ერთხელ დოლინჯიმ რუისიდან ია

და შოთა ქებისხევი წაიყვანა: — წამოდით, ნახეთ თქვენი სამოსახლო-სამკვიდრებელი. ქვაბისხევი სახლის მშენებლობა იყო გაჩაღებული. დოლინჯი ოსტატებს შეეკითხა, ხომ არაფერი გჭირთო, ქვითხურომ შეპბედა: — აგერ, ბატონო, კლდის ქიმზე წყალი ნვეთ-ნვეთად დაკიდულა. ამ მტირალა კლდის იმედით ხომ არ ვიქნებით, დილიდან საღამომდე შეიძლება მხოლოდ ერთი კოკა მოაყელყელაოსო. ამის გაგონებაზე პატარა შოთა გაიქცა და იმ მტირალა კლდის თავზე მოექცა. ჯერ პეშვით გემო გაუსინჯა კლდის ცრემლს და მამას მოუხმო: მოდი, ეს ცრემლი-

ანი კლდე ხევიმ გადავაგოროთ, დოლინჯიმ მუშებს მოუხმო და დიდი კლდე დაუშვეს ხეობაში. კლდის დაგორება და წყაროს გადმოჩქეფვა ერთი იყო. ქვითხურომ ბიჭი მოიხმო, თავზე ხელი გადაუსვა, მოეფერა: — წყარო ძალუმად მოსჩქეფს, ახლა გეშველათ, აღარ გაგჭირდებათ. — მიმართა ოსტატებს დოლინჯამ. — ბატონო, — თქვა კირითხურომ, — ჩემი აზრით, ამ წყაროს „შოთას წყარო“ უნდა დავარქვათ. — დიახაც, დიახაც, — გაისმა ხმა ოსტატთა და მუშებს შორის. დოლინჯი მროველს სასახლეში

კარის მხატვარმა გიორგი ჭიჭიძემ წმინდა მარიამის ფრესკა მოხატა, ასევე იქ მხოლოდ იასა და შოთას სურათები გამოხატეს. სურათებს მხატვარმა სახელები წაანერა: „ია და შოთა“, ქვეშ კი მათი გვარის აღმნიშვნელი წარწერა გაუკეთა: „მროველი, შუენდოს ღმერთმა“. გიორგი ჭიჭიძემ იგემა შოთას წყაროს გემო და შეაქო მისი აღმომჩენი.

მთქმელი **შოთა ივანიძე**, 73 წლის. ს.ჭობარეთი, ჩაინერილია 1995 წელს მანია ივანიძის მიერ

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: WWW.SCFI.CO; fcoo: ლიტერატურული მესხეთი

ლაგოქანაბლები: ფიზიკური პირი ავთანდილ ბერიძე
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაზეთის რედაქცია სარგებლობს თავისუფალი პრესის პრინციპებით და ავტორის მოსაზრებებსა და გამოხატულებებზე პასუხს არ აგებს

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასაგარეო მინისტროს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო № 19/4-17

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის	რედაქციური ავთანდილ ბერიძე სარედაქციო საბჭო: მერაბ ბერიძე, დურმერაბ ბერიძე, რამაზ ბერაძე, ვახტანგ ინაური	გაზეთი დაიბეჭდა შ.პ.ს. „საარის“ სტამბაში. მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57. ტელ: 2 94-14-32	რედაქციის მისამართი: 0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. № 3, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24, lit.meshketi@gmail.com lit-meshketi@yahoo.com
--	---	--	--